# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 8 ნოემბერი 2006 №259 (2881) ფასი 50 თეთრი


# თასი ერთი და ათასი ბევრი

## ორი ხელი და სპონს-ორი: პროფლიგამ ყაზბეგი და აქსისი დაიმეგობრა



მაშ, ასე: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის თაოსნობით და სპონსორების ხელშეწყობით, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი ახლა უფრო დაფასდება. პრიზთან ერთად, ნახევარფინალებიდან მოყოლებული, გუნდები ფულად ჯილდოსაც მიიღებენ — კომპანია „ყაზბეგი" ამ საქმეში 50 000 ლარს ჩამოდის, რაც ნახევარფინალისტებზე, ფინალისტებსა და თასის მფლობელზე გარკვეული პროცენტებით გადანაწილდება.



# ახალგაღვიძებული ტოპმიოლერი ნადირობაზე მოხვდა

## ამერმა მგლებს გლდანი არ შეაჭმევინა





### გიორგი შაშიაშვილი: თუ არ შეუტიე, თავს ვერ დაიცავ

4



### ოდეს ყოფილა... ქალო, ისეთი მკაცრი ხარ...

4




### ფან-ტომი

ერთგულება არგენტინულად

9

# ყაზბეგი — 50 000

## პროფლიგამ აქსისი მოიშენა

*...გუშინ პროფლიგაში სტუმრიანობა და ახალი ხელშეკრულებების გაფორმება იყო. პროფლიგამ ორი სპონსორი და ერთი პარტნიორი შეიმატა და მისმა პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა სამივე ფირმასთან თანამშრომლობა ჩვენ თვალწინ ხელმოწერით ოფიციალურად გააფორმა...*

— ქართულ ფეხბურთში მომხდარი ბოლოდროინდელი ცუდი ამბების შემდეგ დღეს კარგი საქმისთვის შევიკრიბეთ — თქვა *დიმიტრი რამიშვილმა* — სასიამოვნოა, რომ პროფლიგასთან თანამშრომლობისა და გვერდში დგომის სურვილი გამოთქვეს სოლიდურმა ქართულმა ფირმებმა — „ყაზბეგმა" და დეველოპერულმა კომპანია „აქსისმა", ასევე გვყავს ახალი პარტნიორიც — „გეოგრასი", რომელსაც სოფელ ქანდაში უმაღლესი ხარისხის ბალახი გამოჰყავს. „ყაზბეგი" დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის სპონსორიც იქნება, დააწესებს საპრიზო ფონდს და ვიმედოვნებთ, ეს გათამაშება უფრო პოპულარული, საინტერესო და დაძაბული გახდება.

*დიმიტრი რამიშვილმა და „ყაზბეგის" გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ბახტაძემ ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტი გადაფურცლეს და სამწლიანი ურთიერთობაც გაფორმდა.*

*ნიკოლოზ ბახტაძე:* ჩვენთვის დიდი პატივია ასეთ სოლიდურ პროექტში მონაწილეობა. ქართულ ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს და „ყაზბეგიც" თავის მხრივ მაქსიმალურად შეეცდება, მის განვითარებას ხელი შეუწყოს. პროფლიგასთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ, თასის წლევანდელი გათამაშების საპრიზო ფონდი კი 50 ათასი ლარი იქნება. ვფიქრობ, ეს პროფლიგისა და ქართული ფირმის თანამშრომლობის კარგი პრეცედენტია და უკეთესი იქნება, ამ საქმეში სხვებიც თუ შემოგვიერთდებიან, საპრიზო ფონდი ასე უფრო გაიზრდება და, შესაბამისად, გუნდებსაც მეტი სტიმული მიეცემათ.

*„ყაზბეგთან" საქმე ასე მოგვარდა და შემდეგ პროფლიგა-„აქსისის" თანამშრომლობაც დამოწმდა. ჯერჯერობით ურთიერთობა ერთწლიანი იქნება, თუმცა შესაძლოა, კიდევ გაგრძელდეს.*

*დიმიტრი რამიშვილი:* სასიხარულოა, რომ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ასეთმა წარმატებულმა კომპანიამ. „აქსისი" პროფლიგის ყველა იმ პროექტში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც დაგეგმილი გვაქვს. ასე საქმე გაგვიოლდება და შესაძლებელი იქნება, საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრიდან კარგა ხნის ჩაფიქრებული წამახალისებელი ლატარიაც გავათამაშოთ.

*გიორგი ჭყონია, „აქსისის" მარკეტინგის ხელმძღვანელი:* იმედი მაქვს, პროფლიგისა და დეველოპერული კომპანია „აქსისის" ურთიერთობა ორმხრივად მომგებიანი, წარმატებული იქნება და ჩვენი ფეხბურთიც უფრო განვითარდება. დღეს ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ და მომავალში საქმეს კიდევ გადავხედავთ.

*ბოლოს კი პროფლიგამ პარტნიორული ხელშეკრულება ფირმა „გეოგრასთან" გააფორმა. „გეოგრასი", ვისი ხელმძღვანელიც ლევან ცხოვრებაშვილია, ამ საქმეს ორი წლის წინ შეუდგა. როგორც დიმიტრი რამიშვილმა თქვა, „გეოგრასი" შარშან პროფლიგისგან საუკეთესო პროექტის პრიზით დაჯილდოვდა და სადღეისოდ რამდენიმე მოედნის შეკვეთაც აქვს. ამათგან ორი საქართველოს ნაკრების საგურამოს საწვრთნელ ბაზაზე დაიგება, ასევე რუსთავისა და ზუგდიდის სტადიონებზე, მომავალში კი „გეოგრასის" ბალახით სხვა ქართული კლუბებიც დაინტერესდებიან და ამ საფარს ოთხჯერ იაფად მიიღებენ, ვიდრე ევროპულს. „გეოგრასის" ბალახი დღეს ეროვნულ სტადიონზეც არის.*

*ლევან ცხოვრებაშვილი:* თავიდანვე ვალადაც ვთვლით, რომ ჩვენს სტადიონებზე უმაღლესი ხარისხის მოედნის საფარი იყოს. სამი წლის წინ, როცა ამ საქმის გაკეთება ჩავიფიქრეთ, მთელი ქვეყანა შემოვიარეთ, მაგრამ მხარდამჭერი არავინ გამოგვიჩნდა, თუმცა შემდეგ პროფლიგას მივმართეთ და სწორედ მათი დახმარებით რამდენიმე ინვესტორიც მოიძებნა. მიგვაჩნია, რომ ეს საშვილიშვილო საქმეა, მადლობა პროფლიგას, ჩვენ ერთად კიდევ ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ.

*ჩვენ კი დიმიტრი რამიშვილის ვკითხეთ, თუ როგორ განაწილდება საქართველოს თასის საპრიზო ფონდიდან თანხა პროცენტულად...*

— პროცენტულად თანხას პროფლიგის კონფერენციაზე გავანაწილებთ. როცა გუნდების წარმომადგენლებთან ერთად შევიკრიბებით, მაშინ დავაზუსტებთ, რამდენი მიიღოს ნახევარფინალისტებმა, ფინალისტებმა და თასის მფლობელმა. ამ საკითხს გუნდებთან შევათანხმებთ, დანარჩენი კი „ყაზბეგმა" იცის, გუნდებს სწორედ „ყაზბეგი" დააჯილდოვებს. ნელ-ნელა გადავდივართ კომერციულ რელსებზე და მომავალში ქართული ფეხბურთისთვის ჩვენს სპონსორებთან ერთად კიდევ ბევრ სასიკეთოს გავაკეთებთ. აქვე კი მადლობას ვეტყვი პროფლიგის სხვა სპონსორებსაც — „საქართველოს ბანკი", „ჯეოსელი" და „აიეტი" უკვე რა ხანია, ჩვენთან თანამშრომლობენ.

**კობა ინასარიძე**




ნიკოლოზ ბახტაძე, დიმიტრი რამიშვილი, გიორგი ჭყონია და ლევან ცხოვრებაშვილი

# ადამია მცველებსაც გაურბის და ლიმიტსაც



*მიმდინარე სეზონი ბაქოს „ნეფთჩიმ" სუსტად დაიწყო, მაგრამ ბოლო ტურებში გიორგი ადამია ათამაშდა და გუნდმაც ზედიზედ მოიგო. ქართველმა თავდამსხმელმა ბოლო ორ მატჩში სამი გოლი შეაგდო, რომელთაგან ერთი, „კარვანთან" გატანილი, ულამაზესი გამოდგა. გუშინ გიორგის ბაქოში შევეხმიანეთ...*

**— ბოლო ორი მატჩია, „ნეფთჩი" შენი გოლებით იგებს...**

— სეზონის დასაწყისი ნამდვილად არ წამივიდა, შემდეგ ნელ-ნელა მოვუმატე. მიხარია, რომ გუნდისთვის ჩემი გოლებით სარგებელი მომაქვს.

**— „კარვანთან" გატანილი გოლს აზერბაიჯანში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა...**

— ბურთი მოედნის ცენტრში მივიღე და კარისკენ წავედი, უკვე დასარტყმელად ვემზადებოდი, მაგრამ დავინახე ერთბაშად სამი მცველი წამოვიდა. ერთი ცრუ მოძრაობით სამივეს გავექეცი, მეკარეც მოვატყუე და ცარიელ კარში გავიტანე.

**— ოპტიმალურ ფორმაში ხარ?**

— შეიძლება ითქვას, კი. ალბათ ერთიორი თამაშის შემდეგ უკეთესად ავთამაშდები.

**— „ნეფთჩის" სუსტ სტარტზე რას იტყვი?**

— ახალი მწვრთნელი მოვიდა და თავიდან მის სათამაშო სქემასთან შეგუება გაგვიჭირდა.

**— მიზანი ჩემპიონობაა?**

— ეგრეა და ხელმძღვანელობას სხვა რამის გაგონებაც არ სურს.

**— აზერბაიჯანში ლეგიონერთა ლიმიტი საკმაოდ მკაცრია...**

— გუნდებში ძალიან ბევრი ლეგიონერია, თუმცა თამაშის უფლება მხოლოდ სამს აქვს.

**— ამ მხრივ შენ პრობლემა ალბათ არ გექნება..**

— არანაირი პრობლემა არ მაქვს. „ნეფთჩიში" სულ ხუთი ლეგიონერია. ჩვენი სქემა კი ისეა აწყობილი, რომ მე მოედანზე უნდა ვიყო.

**— სხვა ქართველ ფეხბურთელებს აწუხებთ ეს პრობლემა?**

— უფრო „კარვანში" მოთამაშე ქართველებს უჭირთ. იქ ათამდე ლეგიონერია, მათგან სამი ქართველი. სტაბილურად მხოლოდ ლექსო ინწკირველი თამაშობს, რომან ახალკაცი და გოჩა ტრაპაიძე კი შეცვლებზე შედიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### გერმანია

**ბუნდესლიგა**
**XI ტური**

დორტმუნდი 0:0 ალემანია
მაინცი 1:2 ვოლფსბურგი
ნიურნბერგი 1:2 ვერდერი
შტუტგარტი 2:0 ჰამბურგი

**II ბუნდესლიგა**
**XI ტური**

ბრაუნშვაიგი 2:3 უნტერჰახინგი
კარლსრუე 4:1 მიუნხენი
პადერბორნი 0:2 ჰანზა
ესენი 0:1 კობლენცი

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**XV ტური**

ბაიერნი (მ) 2:1 ინგოლშტადტი
როიტლინგენი 1:1 ელვერსბერგი
ზაარბრიუკენი 1:0 კარლსრუე (მ)
ზიგენი 4:3 აალენი

### ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა**
**XVI ტური**

მატერსბურგი 2:1 ზალცბურგი

**I დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

კაპფენბერგი 3:2 პარნდორფი

### საფრანგეთი

**II დივიზიონი. XV ტური**

ბასტია 1:1 ლე ავრი
ბრესტი 0:1 აიაჩო
კაენი 1:0 კრეტეი
დიჟონი 2:1 გენგამი
ისტრი 0:1 გენიონი
ლიბურნი 2:1 გრენობლი
მონპელიე 1:0 ტურსი
ნიორი 2:0 შატორუ
რეიმსი 2:0 სტრასბური

### ინგლისი

**II ლიგა**
**გადადებული მატჩი**

ბერი 1:0 რეძსემი

**ლიგის თასის 1/8 ფინალი**

ჩესტერფილდი 2:2 (3:3დ.დ, პენ3:4) ჩარლტონი
ნოტსი 0:1 უიკომბი
საუთენდი 1:0 მანჩესტერი
უოტფორდი 1:1 (2:2დ.დ, პენ4:5) ნიუკასლი

### საბერძნეთი

**თასის 1/16 ფინალი**

აიოლიკოსი — ერგოტელისი
გადაიდო
პანაიტოლიკოსი 1:2 ოფი
პანსერაიკოსი 0:1 პაოკ

### სლოვაკეთი

**თასის 1/8 ფინალი**

არტმედია 3:0 სობოტა

### ირლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩები**

დროჰედა 3:1 დერი
სლიგო 0:2 შელბურნი

### ჰოლანდია

**თასის 1/16 ფინალი**

ბე ძუიკი 2:5 ტილბურგი
გრააფსხაპი 1:0 ემენი
იგლსი 2:0 ეძსელსიორი
მაასტრიხტი 3:1 ტელსტარი
როზენდალი 4:0 ეინდჰოვენი
გრონინგენი 1:3 ბრედა

### რუმინეთი

**თასის 1/8 ფინალი**

არადი 0:2 არჯიში
ნაციონალი 3:2 კარაკალი

### შოტლანდია

**ლიგის თასის 1/4 ფინალი**

სელტიკი 0:0 (1:1დ.დ.,პენ4:5) ფოლკირკი
კილმარნოკი 3:2 მოზერუელი

### ესპანეთი

**თასის 1/16 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

ლევანტე — ატლეტიკო (1:0)
გადაიდო

### თურქეთი

**თასის ჯგუფური ეტაპი**
**C ჯგუფი. II ტური**

დიარბაქირი 1:2 ისთანბული
სივა 0:4 ფენერბაჰჩე

### პოლონეთი

**თასის 1/8 ფინალი**

კრაკოვია 2:1 ზაგლებე



ლაშა სილაგავა

# სად მუშაობ? რამიშვილმა სილაგავას უპასუხა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა გუშინ ფიფას არბიტრ ლაშა სილაგავას ამასწინანდელ მწვავე განცხადებას უპასუხა...

„რაც პროფლიგა შეიქმნა, გუნდების სამონაწილეო გადასახადი 5 ათასი ლარიდან 22 ათასამდე გაიზარდა. როცა იკითხეს, ეს თანხა რას უნდა მოხმარდესო, პასუხი იყო, მსაჯებსო. ჩვენ ერთი თეთრიც არ მოგვმატებია" — თქვა ლაშა სილაგავამ, რასაც რამიშვილმა ეს მოაყოლა...

— სილაგავას ეს განცხადებაც კი უკვე არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს, ის აქ მუშაობს და არ იცის, რამდენს იღებს. გუნდების საწევრო შემოსატანი თანხა მთლიანად მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებას ხმარდება, ოღონდ ადრინდელისგან განსხვავებით, ახლა ბავშვთა ლიგის ხარჯებსაც ჩვენ ვისტუმრებთ.

**ლუკა თალაკვაძე**

# მიკუჩაძეს ომი არ ეხება
## კოკამ ბოლნისი ისრაელში გააგრძელა

**კოკა მიკუჩაძე — ფეხბურთელი, რომელმაც ბოლნისის „სიონის" ჩემპიონობაში დიდი წილი დაიდო, ახლა ისრაელის პირველლიგელ ბეერ-შევას „ჰაპოელში" თამაშობს. დაბრუნდება „ჰაპოელი" უძლიერესებში? ეს დიდწილად სწორედ მიკუჩაძეზეა დამოკიდებული, რომელსაც გოლი გოლზე გააქვს და ვინძლო, მალე უკეთეს გუნდში მოვხვდეო, თავად გვითხრა...**



ბადრი კეთილაძის ფოტო

— ბეერ-შევას „ჰაპოელი" კარგი გუნდია. საერთოდ, ისრაელის უმაღლესი და პირველი ლიგა დონით დიდად არ განსხვავდებიან. არც მეგონა, ასეთი თანაბარი ჩემპიონატები სადმე თუ იქნებოდა. „ვესტ ჰემის" თავდამსხმელი იოსი ბენაიუნი სწორედ „ჰაპოელიდან" გადავიდა ესპანურ „რასინგში", სადაც ლიდერად იქცა.

— „ჰაპოელი" მეორე-მესამე ადგილზეა და ალბათ უმაღლესში გადასვლას უმიზნებს...

— რა თქმა უნდა. ეს გუნდი სულ უმაღლესში იყო, უეფას თასზეც ხშირადაა გასულა და ადრე რამდენჯერმე ჩემპიონიც გამხდარა. ახლა რვა ტურის შემდეგ ოთხი მოგება, სამი ფრე და ერთი წაგება გვაქვს.

— როგორც ებრაულ ვებგვერდებში ვნახეთ, გოლები საკმაოდ გაგაქვს. რამდენი მოგიგროვდა?

— ხუთი გოლი შევაგდე, მაგრამ ორი თამაში გამიცდა — მეორე ტურში უაზრო წითელი ბარათი მივიღე. ბოლო თამაში კი 2:0 მოვიგეთ სტუმრად, 30 მეტრიდან ცხრიანში გავიტანე და მწვრთნელი გადაირია, ასეთი გოლი ისრაელში არც მინახავსო. ისე, თავდამსხმელების უკან, გამთამაშებლად ვთამაშობ.

— ისრაელში გიორგი ყიფიანი რომ თამაშობს, ვიცით. სხვა ქართველებიც არიან?

— ყიფიანი და ირაკლი შენგელია, ჩემსავით მეორე ლიგაში თამაშობენ. საერთოდ, ბეერ-შევაში ბევრი ქართველი ცხოვრობს, მათ ძალიან დავუახლოვდი და თავიდან რომ მიჭირდა, აქაურობას შემაგუეს.

— ისრაელში საომარი მდგომარეობაა და, როცა შენ გადახვედი, იმ დროს გაუთავებელი ტერაქტები იყო...

— როდესაც ჩამოვედი, სამი-ოთხი დღის მერე დაწყნარდა სიტუაცია. ისე, ბეერ-შევაში ისედაც სიმშვიდე იყო, ეს ქალაქი თელ-ავივიდან მოშორებითაა, ცხელ ზონაში არ არის.

— ისრაელის უმაღლესი ლიგა ბევრად სჯობია საქართველოსას?

— ბევრად სჯობიაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ აქ ისეთი თამაშებია, თვალს ესიამოვნება, უაზროდ ბურთის მოგერიებები არ არის. მინდვრებიც კარგია — ყველგან არა, მაგრამ ამ მხრივ საქართველოსთან შედარებაც არაა. ხალხიც დადის სტადიონზე, აქ ძალიან უყვართ ფეხბურთი და დიდ პატივს გვეცემენ. ჩვენს საშინაო მატჩებზე 6000 გულშემატკივარი გროვდება, მაგრამ როგორც თქვეს, 25 000-მდე ქომაგიც მოდიოდა. ახლა გულგატეხილები არიან, მაინც პირველ ლიგაში ვართ და...

— შენს გარდა ლეგიონერები კიდევ ჰყავს „ჰაპოელს"?

— ერთი ნიგერიელი და ერთიც განელი. ორივენი ავსტრიის კლუბებში თამაშობდნენ.

— ჯერ ახალგადასული კი ხარ „ჰაპოელში", მაგრამ უკეთეს გუნდზე არ ფიქრობ?

— ვთამაშობ, გოლები გამაქვს, და ჩემით ყველა კმაყოფილია, მაგრამ მეტი მინდა. აქ სკაუტები ხშირად დადიან, კარგ ფეხბურთელს შეუმჩნევლად არ დატოვებენ და ვნახოთ... ისე, ბეერ-შევას „ჰაპოელი" უმაღლესში თუ გადავა, დიდი შანსია, იქაც ლიდერთა შორის ვიტრიალოთ.

**ილია ნანობაშვილი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ამერმა ჩანგელია ჩარიცხა

**გუშინ** თბილისის „ამერმა" უკრაინაში მცხოვრები ქართველი მეკარე ვლადისლავ ჩანგელია საჩემპიონატო განაცხადში შეიყვანა.

ახალგაზრდა გოლკიპერი დაახლოებით ერთი თვის წინ თბილისის „დინამოში" ისინჯებოდა, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და მერე „ამერს" მიაკითხა.

ჩანგელია „ამერმა" ფარმ-კლუბის განაცხადში შეიყვანა. საინტერესოა, რომ ის გიორგი ჩიხრაძის გუნდში მეოთხე მეკარეა ზურაბ ქვაჩახიას, ლადო ნადირაშვილისა და ლევან ბუბუტეიშვილის შემდეგ.

**ლუკა თალაკვაძე**



# გერმანელების თვალწინ: მგლებმა სენსაცია ჭამეს

კლაუს ტოპმიოლერი ძმასთან, ჰაინცთან, რალფ მინგესთან და ნაკრების მზვერავ პიტერ ზიგადთან ერთად გუშინ გლდანში „ამერი 2" — „მგლების" საპირველლიგო მატჩს დაესწრო. გერმანელი მწვრთნელები საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის არჩევდნენ ფეხბურთელებსო, როგორ ვთქვათ, მაგრამ ორივე გუნდში ვინძლო, კი ბურთაობდნენ ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრებებისთვის საინტერესო მოთამაშეები.

ნაკრებით დავიწყეთ და ერთიც ვთქვათ: ვის გამოიძახებს კლაუს ტოპმიოლერი ურუგვაისთან მატჩისთვის ტრავმირებულების, კახა კალაძისა და დავით მუჯირის ნაცვლად, ძალიან საინტერესო კია, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, დიდი შანსია, ტოპიმ ამ ეტაპზე ახალი ფეხბურთელები აღარ მიიწვიოს.

და რაც შეეხება გლდანურ მატჩს, ლიდერმა ზუგდიდის „მგლებმა" 12 მოგებისა და 2 ფრის შემდეგ პირველი მარცხი იწვნია — 1:3. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ „ამერი 2" ნიკოლოზ მშვილდაძემ 53-ე წუთზე დააწინაურა, რასაც მალე გიგა ჟვანიას გამთანაბრებელიი მოჰყვა, მაგრამ ბოლო წუთებში მასპინძლებმა ორი ლამაზი ბურთი შეაგდეს: ჯერ დიმიტრი ტატანაშვილმა ცაციათი ჩასვა ბურთი ცხრიანში, მერე კი გიორგი სილაგავამ თავისი ნახევრიდან ქურციკივით ირბინა და სოლო-გოლი მიითვალა.

და მაინც, „მგლები" სოლიდურად ლიდერობს ცხრილს, მეორეადგილოსან ახალციხის „მესხეთს" ხუთი ქულით უსწრებს — პირველი ლიგის მეთოთხმეტე ტურის მთავარმატჩში ახალციხელებმა მესამეადგილოსან აგარის „მეშაქრესთან" შინ 0:0 ითამაშეს, თუმცა დიდად არ უნდა ინაღვლონ — მესხები ოთხქულიანი უპირატესობით ინარჩუნებენ მეორე პოზიციას.

**ილია ნანობაშვილი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

დიმიტრი ტატანაშვილმა „მგლებიც" დაამწუხრა

## საქართველოს ჩემპიონატი
### პირველი ლიგა
### I წრე. 14 ტური

გაგრა 2:2 მაღაროელი
დინამო 2 2:2 სამტრედია
მერცხალი 0:2 მეშახტე
ნ. დინამოელი 3:1 ოლიმპი
მესხეთი 0:0 მეშაქრე
ზესტაფონი 2 2:0 გურია
რაჭა 0:2 ვიტ ჯორჯია 2
ამერი 2 3:1 მგლები
ჩიხურა 2 2:0 სპარტაკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 14 | 11 | 2 | 1 | 24:7 | 35 |
| მესხეთი | 14 | 9 | 3 | 2 | 26:8 | 30 |
| მეშაქრე | 14 | 7 | 5 | 2 | 18:12 | 26 |
| ოლიმპი (თბ) | 14 | 7 | 2 | 5 | 29:18 | 23 |
| გაგრა | 14 | 7 | 2 | 5 | 21:16 | 23 |
| ნ. დინამოელი | 14 | 7 | 2 | 5 | 21:16 | 23 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 14 | 6 | 4 | 4 | 24:10 | 22 |
| ჩიხურა 2 | 14 | 6 | 3 | 5 | 16:14 | 21 |
| მეშახტე | 14 | 6 | 2 | 6 | 19:19 | 20 |
| ზესტაფონი 2 | 14 | 5 | 5 | 4 | 15:12 | 20 |
| დინამო 2 | 14 | 5 | 3 | 6 | 22:15 | 18 |
| მაღაროელი | 14 | 4 | 6 | 4 | 17:16 | 18 |
| ამერი 2 | 14 | 4 | 5 | 5 | 19:18 | 17 |
| სპარტაკი | 14 | 4 | 3 | 7 | 9:20 | 15 |
| სამტრედია | 14 | 2 | 5 | 7 | 16:28 | 11 |
| რაჭა | 14 | 2 | 3 | 9 | 11:29 | 9 |
| მერცხალი | 14 | 2 | 3 | 9 | 13:35 | 9 |
| გურია | 14 | 2 | 2 | 10 | 12:36 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოვეტსკი ლიდერები: მუჯირი და ასათიანი

საუკეთესო ლეგიონერი ახლო უცხოეთიდან — ასეთი ნომინაცია აქვს რუსულ „სოვეტსკი სპორტს“ და საინტერესოა, რომ ამ ნომინაციაში პირველ ადგილზე სამარის „კრილია სოვეტოვის“ შემტევი დავით მუჯირია 5,88 ქულით. მეორე ადგილზეა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი ლიდერი მალხაზ ასათიანი (5,85). კიდევ ერთი ჩვენებური, ნალჩიკის „სპარტაკის“ საგრდენი ნახევარმცველი გოგიტა გოგუა კი მეათეზეა (5,67 ქულა).

ქართველი ფეხბურთელები „სოვეტსკი სპორტის“ სხვა ნომინაციაშიც მოხვდნენ: პრემიერლიგის დებიუტანტებში მუჯირი მე-4 ადგილზეა, გოგუა — მეათეზე.

**ბახა ფალამბერიძე**

# სკონტოს ქალალდი: ქართველები წავიდნენ

ლატვიის ჩემპიონატი დამთავრდა და ზედიზედ მეორე წელია, რიგის „სკონტო“ ჩემპიონობას ვერ ახერხებს — ამჯერად რიგელებს „ვენტსპილსმა“ აჯობა.

წარუმატებელი სეზონების გამო კლუბის ხელმძღვანელობა ექსპერიმენტების ჩატარებას აპირებს და რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს ემშვიდობება. „სკონტოს“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მომავალი წლიდან ქართველი ფეხბურთელები, დავით ჩალაძე და ლევან კორღალიძე თავისუფლები არიან — „სკონტოსთან“ კონტრაქტი ორივეს დაუმთავრდა...

ჩალაძემ ამ სეზონში ტრავმიანობის გამო ოდენ სამი მატჩი ჩაატარა, კორღალიძე კი ისედაც აპირებდა გუნდის გამოცვლას და ერთი ხანობა ქუთაისის „ტორპედოშიც“ ითამაშა განათხოვრებით.

სადღეისოდ, „სკონტოში“ ერთადერთი ქართველია — ზაალ ელიავა ჯერაც ტრავმას მკურნალობს. ისე კი, სკონტოელთა საკუთრებაა ქუთაისის „ტორპედოს“ კაპიტანი დავით გამეზარდაშვილიც...

**ბახა ფალამბერიძე**

მას შემდეგ, რაც გიორგი შაშიაშვილმა იტალიის ნაკრებს გოლი გაუტანა, კლუბში საქმეები კარგად წაუვიდა — ამ დროისთვის შაშიაშვილი ოდესის „ჩერნომორეცის“ ძირითადის წევრია, მანამდე კი სათამაშო პრაქტიკა, ფაქტობრივად, არ ჰქონდა, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერი მას მაინც იძახებდა ეროვნულ გუნდში...



# თუ არ შეუტიე, თავს ვერ დაიცავ

## გასამება

„მთლად ისეც არ არის, თითქოს იტალიასთან გატანილი გოლით მოვიკიდე ფეხი „ჩერნომორეცის“ ძირითადში. საქმე ისაა, რომ „ჩერნომორეცში“ მწვრთნელი მაშინ შეიცვალა, როცა იტალიასთან მატჩისთვის სანაკრებო შეკრებაზე მოვდიოდი. ახალმა მწვრთნელმა ნახა ჩემი თამაში იტალიასთან და კმაყოფილი დარჩა, თუმც მყისვე არ დავუყენებივარ სასტარტოში, ჯერ შეცვლაზე მათამაშა. ახლა ხან დაცვის ცენტრში ვთამაშობ, ხან მარჯვნივ“ — გვითხრა შაშიაშვილმა.

## თსუ და ბოსკამპი

ტოპმიოლერმა შაშიაშვილი პირველად ალბანეთთან ამხანაგურ მატჩში გამოსცადა 21 მარტს, შეხვედრა 0:0 დასრულდა. შაშიაშვილმა მათე ღვინიანიძესთან ერთად დაცვის ცენტრში ითამაშა და მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ტოპმიოლერმა ის შეაქო.

მეორედ ტოპმიოლერმა შაშიაშვილი ფარერებთან ათამაშა, ხოლო მესამე და შაშიაშვილის გოლი იტალიასთან იყო — ამ 27 წლის მცველს ეროვნულ გუნდში თოთხმეტჯერ უთამაშია.

ტოპმიოლერი არ არის პირველი უცხოელი მწვრთნელი, რომელმაც სხვა სპეციალისტებისგან მივიწყებულ და დაწუნებულ შაშიაშვილს ნდობა გამოუცხადა. შაშიაშვილი თბილისის „დინამოდან“ თსუ-ში იყო განათხოვრებული, როცა იოჰან ბოსკამპმა შეამჩნია და „დინამოში“ დააბრუნა. ბოსკამპმა შაშიაშვილი სეზონისწინა შეკრებაზე წაიყვანა და შეკრების მერე მყის ენდო — „დინამომ“ უეფას თასზე მოლდოვურ „ზიმბრუს“ 2:1 რომ მოუგო, შაშიაშვილი სასტარტოში იყო — ეს შვიდი წლის წინ მოხდა და, შეიძლება ითქვას, ქართველმა საფეხბურთო მილეთმა მაშინ გაიცნო შაშიაშვილი.

იქიდან მოყოლებული შაშიაშვილი „დინამოს“ ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი გახდა, ტექნიკური, დაფიქრებული მცველი შეტევაში სწრაფი ჩართვებით. „დინამოში“ ივო შუშაკის მისვლის შემდეგ კი შაშიაშვილი ისეთ ლიბეროდ წარმოგვიდგა, რომელიც შეტევაში არ მიდიოდა. სწორედ იმ პერიოდში, როცა შუშაკის „დინამოში“ მისვლა ახლოვდებოდა, შაშიაშვილს პირველად უხმეს ეროვნულ ნაკრებში.

„ალექსანდრე ჩივაძის მადლობელი ვარ, პირველად მან გამომიძახა ნაკრებში და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი კარიერისთვის — ამბობს შაშიაშვილი.

## თუ არ შეუტიე, თავს ვერ დაიცავ

შუშაკისეულ „დინამოში“ კი შაშიაშვილი თანდათან ისეთ ფეხბურთელად იქცა, რომელშიც ეფექტურობა და ბრკიალი არ იყო, გიორგი შეტევებში აღარ ერთვებოდა და არც მისი დაცვაში თამაში იყო მაინცდამაინც თვალისმომჭრელი.

„შეტევაში რომ მიდიხარ, იმპროვიზაციის გამომჟღავნების მეტი შანსი გაქვს, თავს უფრო თავისუფლად გრძნობ. შეტევაში რომ წაგივა თამაში, დაცვაშიც უფრო თავდაჯერებული ხარ და მეტოქესაც უძნელდება შემოტევა. ისიცაა, რომ „დინამოში“ დიდხანს მომიწია დარჩენა, ერთ დონეზე გავჩერდი, წინსვლა აღარ მქონდა“ — განმარტავს გიორგი.

შაშიაშვილი არ არის ტიპიურად ჯანმაგარი მცველი, ხმელ-ხმელი, ოდნავ აწოწილია, ბურთთან „ურთიერთობა“ კარგად ეხერხება და არ ცეტობს.

## ისევ დინამო და ტოპმიოლერი

შაშიაშვილისთვის პირველი უცხოური კლუბი ვლადიკავკაზის „ალანია“ იყო. რუსულ პრემიერლიგაში გადასვლა მისთვის წარმატებული არ გამოდგა, „ალანიაც“ გაკოტრდა და შაშიაშვილი სხვა ქართველებთან ერთად იქიდან წამოვიდა, ნახევარი სეზონი ანდრეი ჩერნიშოვის გაწვრთნილ თბილისის „დინამოში“ ითამაშა და ტოპმიოლერმაც მაშინ დალანდა.

„თავიდან ვერ ვხვდებოდი „ჩერნომორეცის“ ძირითადში. მაგრამ მაშინაც ვფიქრობდი, რომ უცხოეთში წასვლა სწორი გადაწყვეტილება იყო. უკრაინის ჩემპიონატის ნებისმიერ თამაშში მაქსიმალურად კონცენტრირებული და მობილიზებული ხარ, შეტევაში ჩართვა კი აქაც აუცილებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაცვის ფლანგზე თამაშობ“ — გვითხრა შაშიაშვილმა.

## რატომ გაიტანა კამორანეზიმ?

ტოპმიოლერმა მას 15 ნოემბერს ურუგვაისთან ამხანაგური მატჩისთვისაც უხმო და, თუ დაცვის რომელიმე ფლანგზე ათამაშა, იქნებ შაშიაშვილმა ერთხელაც გამოიჩინოს თავი შეტევაში. იტალიასთან კი მისი გოლის გარდა, მაურო კამორანეზის გოლიც გვახსოვს — კამორანეზი შაშიაშვილის ზონიდან შეიწია ცენტრისკენ და ხელმეორედ დააწინაურა „ამურა“.

— მე იმიტომ არ გავყევი კამორანეზის, რომ კახა კალაძეს ვუკეთებდი დაზღვევას. ბურთი კალაძეს რომ გადაცდენილიყო და ისე გასულიყო გოლი, ჩემი ბრალეულობა უფრო მეტი იქნებოდა. კამორანეზი ჩვენს ზურგსუკნიდან გამოიქცა, იქ კვირკველია იდგა... ერთი სიტყვით, დიაგონალური დაზღვევა ვერ მოვასწარით. პოზიცია კარგად რომ შემერჩია, უკეთესი იქნებოდა — ასეთნაირად არჩევს იმ ეპიზოდს შაშიაშვილი, რომელიც იტალიასთან მატჩმა ხელმეორედ აქცია ჩვენი ნაკრებისთვის საინტერესო ფეხბურთელად.

**დავით თავართქილაძე**

# მოგვეცით ქალებს გზა ფართო

მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ ქალი მსაჯებით გადაწყვიტა მოედნის დამშვენება და ამ იდეამ თავიდანვე გამოიწვია ინტერესი — ფედერაციას უკვე შვიდი მსაჯი გოგონა ჰყავს. ამათგან ხუთი ჭაბუკთა ლიგაში მსაჯობს, ორი კი თეორიულ კურსებს გადის. თელაველი ქეთი გაიპარაშვილი 21 წლისაა. მიიჩნევს, რომ სწორი არჩევანი გააკეთა და საყვარელ საქმეს ემსახურება. მას ფეხბურთის ფედერაციაში შევხვდით და ვესაუბრეთ...

— რატომ გადაწყვიტეთ, მსაჯი გამხდარიყავით?

— ეს ნაბიჯი ფეხბურთის სიყვარულმა გადამადგმევინა. კახეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა როსტომაშვილმაც მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებაში მიმიყვანა. თეორიული კურსი გავიარე და ჩემი სამსაჯო დებიუტი 35-ე სკოლაში, ბავშვთა ტურნირზე შედგა. ამ სეზონიდან კი ჭაბუკთა ლიგაში ვმსაჯობ.

— როგორ შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას თქვენი ოჯახის წევრები?

— არ აღფრთოვანებულან, მაგრამ წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ. მეგობრებს კი ძალიან გაუკვირდათ...

— საქართველოში მამაკაც მსაჯებს ტრიბუნებიდან ძალიან ხშირად ამკობენ „ტკბილი სიტყვებით“. თქვენც ხომ არ შეგმთხვევიათ მსგავსი?

— მიმაჩნია, რომ მსაჯს ბილწსიტყვაობაზე რეაქცია არ უნდა ჰქონდეს — არბიტრმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს. ხოლო თუ ფეხბურთელის ან მწვრთნელის მხრიდან იქნება შეურაცხყოფა, ისინი სათანადოდ დაისჯებიან.

— მამაკაცთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ქალი და ფეხბურთი შეუთავსებელია...

— უკვე დროა, მამაკაცებმა აზრი შეიცვალონ. შევეცდები, მათ საპირისპირო დავუმტკიცო.

— თქვენი ახალი პროფესია, როგორც ქალს, დისკომფორტს არ გიქმნით?

— ერთადერთ დისკომფორტს ის მიქმნის, რომ ქართულ სტადიონებზე გასახდელები არ არის კეთილმოწყობილი.

— როგორ ფიქრობთ, აქვთ თუ არა ქალ მსაჯებს მომავალი საქართველოში?

— მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება მხარში გვიდგას. ამირან კაჭახიძე ყველაფერს აკეთებს, რათა ჩვენი პროფესია პერსპექტიული იყოს და იმედი მაქვს, ასეც იქნება.

**სალომე ხარატიშვილი**



# რეალმა გაგო 25 მილიონად გაიგო



**მადრიდში** „ბოკა ხუნიორსის“ ნახევარმცველ ფერნანდო გაგოს ტრანსფერისთვის სერიოზულად ემზადებიან. „რეალის“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ეს სავარაუდო ტრანსფერი მოიწონა, რადგანაც გუნდის ნახევარდაცვას გაგოსდარი ფეხბურთელები ნამდვილად სჭირდება. ახალგაზრდა არგენტინელმა მშვენივრად იცის, რომ „სამეფო გუნდი“ მისი შეძენით არის დაინტერესებული და „ბოკას“ პრეზიდენტ მაურისიო მაკრისაც უკვე სთხოვა, „რეალთან“ გარიგების მიღწევა არ გაართულოს.

მაგრამ ესპანური გრანდი გაგოში 25 მილიონი ევროს გადახდას არ აპირებს — ხსენებული თანხა ფერნანდოს სანაცვლოდ სწორედ სენიორ მაკრიმ მოითხოვა. მადრიდული გაზეთების ცნობით, „რეალი“ შეეცდება, სატრანსფერო ოპერაცია გაცილებით ნაკლები თანხით მოაგვაროს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მადრიდსა და „ბოკას“ შორის ფინანსური სახის სხვა ხელშეკრულებებიც გაფორმდება. მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს და არგენტინელი ფეხბურთელიც იანვარში ალბათ თეთრ ფორმას მოირგებს.

მაურისიო მაკრი მზადაა, ევროპელებს სატრანსფერო ფასდაკლებაზეც დათანხმდეს. საქმე ის გახლავთ, რომ პატაგონიელს წლეულს „ბოკა ხუნიორსში“ საპრეზიდენტო ვადა უმთავრდება და სურს, წასვლის წინ კლუბის ფინანსური საქმეები წარმატებით მოაგვაროს. მაკრის თავის დროზე საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ, ახლა კი არგენტინელ დიდმოხელეს სურს, დიდ პოლიტიკაში მოსინჯოს ბედი. „ბოკადან“ წასვლის შემდეგ მაურისიო მაკრი არგენტინის წამყვანი პარტიის, „თანხმობის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდება და შეიძლება, მომავალში ხელი ქვეყნის პრეზიდენტობასაც გამოჰკრას.

ამის წყალობით მადრიდს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ახალი ფერნანდო რედონდოს (ასე ეძახიან გაგოს არგენტინაში) მოყვანა გაუადვილდება. 20 წლის გაგო „ბოკაში“ თამაშის საოცარი ორგანიზებით და საგოლე ალღოთი გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ფიზიკური ძალით ვერ გამოირჩევა, მოედანზე საოცრად მარჯვეა და თამაშის სტილით რედონდოს გარდა პეპ გვარდიოლასა და ესტებან კამბიასოს ადარებენ.

„რეალი“ კი ორ ფრონტზე იბრძვის არგენტინაში. გაგოს ამბავი თითქმის მოგვარებული აქვთ, თუმცა არც „რივერ პლეიტის“ ბელუშის დათმობას აპირებენ. ოღონდ რივერელის „ბერნაბეუზე“ მისვლა ივნისისთვისაა დაგეგმილი. ბელუშის სატრანსფერო ღირებულება 9 მილიონი ევროა. თავის დროზე არგენტინის მეორე გრანდმა ახალგაზრდა ნახევარმცველი დანიელ პასარელას დაჟინებული მოთხოვნით 5 მილიონ ევროდ იყიდა. დღეს კი პასარელა ბელუშის გასხვისებას სასტიკად ეწინააღმდეგება. ფაბიო კაპელოს 23 წლის მობურთალის თამაში ძალიან მოსწონს.

**ლადო ხომერიკი**

# მესის მესია მარადონაა



**ლიონელ მესიმ** ინგლისური „უორლდ სოკერის“ გამოკითხვაში მიიღო მონაწილეობა. შეკითხვა ფეხბურთის მეფეებს ეხებოდა — „რომელი სჯობს, პელე თუ მარადონა?“ — ასე ჯიქურ იკითხა ალბიონურმა ჟურნალმა. მესის არც ბრაზილიელის ბურთაობა უნახავს და მარადონას საუკეთესო პერიოდსაც ვერ მოესწრო, თუმცა, როგორც თანამემამულეს, უპირატესობა მაინც არგენტინელს მიანიჭა.

„მარადონა მარადონაა, პელე კი პელე. მაგრამ, დიეგო ჩემი თანამემამულე და დიდი მეგობარია, იგი ჩემი კერპია და პელეს მასზე წინ ვერ დავაყენებდი. ვამაყობ მარადონასთან მეგობრობით“ — განაცხადა ლეო მესიმ.

„ბარსელონას“ ფორვარდმა მადრიდის „ატლეტიკოს“ არგენტინელი სერხიო აგეროც ახსენა. მესის აზრით, მიუხედავად „ატლეტიკოში“ ცუდი დებიუტისა, აგერო ესპანეთის ჩემპიონატში დიდ წარმატებებს მიაღწევს.

„მე და სერხიო 20-წლამდელთა მუნდიალზე ერთად ვთამაშობდით და დამეგობრებაც მაშინ მოვასწარით. მჯერა, იგი თავისი გოლებით „ატლეტიკოს“ ფანებს ბევრ სიხარულს მოუტანს“ — აღნიშნა ბარსელონელმა.

მესიმ არგენტინის ნაკრების თავდასხმას სამომავლოდ გოლთაცვენა უწინასწარმეტყველა:

„არგენტინას ტრადიციულად ძლიერი თავდასხმა ჰყავდა და გამონაკლისი არც ჩვენი თაობა იქნება. კარლოს ტევესი, სერხიო აგერო, ლეო მესი... ჩვენ გუნდის გამარჯვებისთვის ბევრ გოლებს გავიტანთ“.

„ალბისელესტეს“ თავდასხმელი მომავალს იმედიანად კი უყურებს, თუმცა, ეტყობა, გერმანულ მუნდიალზე თავისი ხანმოკლე გამოსვლით უკმაყოფილოა. მესიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი თამაში ჩაატარა და მოედანზე სულ 122 წუთი დაჰყო.

„ჩვენ ჩემპიონატზე გაცილებით უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვეძლო, მაგრამ ეს უკვე ჩავლილი ამბავია და ვცდილობ, გერმანული მუნდიალი დავივიწყოთ“.

**ლადო ხომერიკი**



„**ბეტისის**“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ხავიერ ირურეტას გუნდის მწვრთნელობა კიდევ ორი მატჩით ანდოს. ორშაბათ საღამოს ირურეტა კლუბის უფროსობას გუნდში შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ მოეთათბირა. მან განაცხადა, რომ „ბეტისის“ საქმეს გამოასწორებს. პრეზიდენტმა ხოსე ლეონმა კი „დეპორტივოს“ ძველი ლეგენდა კვლავ თანამდებობაზე დატოვა, თუმც ირურეტას ორმატჩიანი ვადა მისცეს.

# ირურეტას დრო დაუთმეს

ანდალუზიური გუნდის პრეზიდენტი ხოსე ლეონია, მაგრამ „ბეტისის“ მეპატრონედ ისევ ყოვლისშემძლე დონ მანუელ რუის დე ლოპერა რჩება. ექსპრეზიდენტი რუის დე ლოპერა ახლა კლუბის უმაღლესი აქციონერია და ირურეტას წასვლა-დარჩენაზეც ბოლო სიტყვა მას ეთქმის. დონ მანუელი მწვრთნელის მეგობარია და გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს.

„სჯობს, ირურეტას ცოტა ხანს კიდევ ვაცალოთ. იგი გამოცდილი სპეციალისტია და მჯერა, გუნდის კრიზისიდან გამოყვანას მოახერხებს“ — ამბობს მეპატრონე.

„ბეტისი“ სადღეისოდ პრიმერას ცხრილში ბოლოდან მესამეა. გუნდმა ჩემპიონატის ბოლო ტურში „ვილიარეალთან“ სტუმრად 2:3 წააგო.

**ლადო ხომერიკი**

# პროფესიონალთა დეჟავიუ ფიფ პრო რონალდინიო

**წიწილებს**, მოგეხსენებათ, შემოდგომაზე ითვლიან, ხმებს კი ცოტა უფრო მერე, წლის ბოლოს — ახლოვდება 2006 და 2007 წლების მიჯნა და დგება გამოკითხვათა სეზონიც. დღეს „ფიფ პრო“-დ წოდებული ორგანიზაციის რეფერენდუმის შედეგებს გთავაზობთ. ეს ორგანიზაცია პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირი გახლავთ, ის 43 ათას ადამიანს აერთიანებს და 1965 წლიდან არსებობს. სხვა სიტყვებით, „ფიფ პრო“-ს გამოკითხვა სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ თავიანთ რჩეულს საკუთრივ ფეხბურთელები ასახელებენ, რომელთაც წლეულს, ისევე როგორც გასულ წელს, ყველას ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ვარსკვლავი რონალდინიო ამჯობინეს.



გამოკითხვის შედეგად 43 ათასი პროფესიონალი ფეხბურთელის შერჩეულ სიმბოლურ ნაკრებში მოხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონებიც: ჯანლუიჯი ბუფონი, ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა და ანდრეა პირლო. ფინალისტი ფრანგების ოსტატობა კოლეგებმა ასე შეაფასეს — ზინედინ ზიდანი, ტიერი ანრი და ლილიან ტურამი. ბრაზილიელთაგან რონალდინიოს გარდა ფეხბურთელებს კაკაც მოსწონებიათ, ხოლო სამუელ ეტოომ და ჯონ ტერიმ კამერუნი და ინგლისი წარმოადგინეს.

გაირკვა წლის საუკეთესო ახალგაზრდის ვინაობაც. გასაკვირი არ არის, რომ ეს ჯილდო „ბარსელონაში“ მოთამაშე არგენტინელ ლეგიონერს ლიონელ მესის ერგო.

**პაპუნა ძიძია**

# მორეტის მორალი დე ლა პენიას

„**ვალენსიას**“ იტალიელმა მცველმა ემილიანო მორეტიმ ესპანიოლელი ივან დე ლა პენია გააკრიტიკა. ამ უკანასკნელმა მორეტის მოედანზე მძიმე ტრავმა მიაყენა, თამაშის შემდეგ კი მაისურის გასაცვლელად „ღამურების“ გასახდელს ისე მიაშურა, მოედნიდან საკაცით გაყვანილი იტალიელის ჯანმრთელობის ამბავი სულაც არ უკითხავს.

„ძალიან გამიკვირდა, როცა ჩვენს გასახდელში შემოსულმა დე ლა პენიამ ტრავმის შესახებ არაფერი მკითხა. მას საქციელს ვერაფრით მოვუწონებ, რადგან ჩვენ მარტო მოწინააღმდეგეები კი არა, ადამიანებიც ვართ და წესით, თანაგრძნობა არ უნდა დაგვავიწყდეს“ — განაცხადა აღშფოთებულმა მორეტიმ.

დე ლა პენიას უხეშობის გამო ტრავმირებული ემილიანო „მონჟუიკზე“ ჩატარებული მატჩის ბოლო წუთებზე შეცვალეს. ცხადია, „ვალენსიას“ სამედიცინო შტაბმა მისი ტრავმა საფუძვლიანად გამოიკვლია.

პირველადი დაკვირვების შემდეგ ექიმებმა დაადგინეს, რომ მორეტის მარჯვენა მუხლის სახსარი აქვს დაზიანებული, თუმცა ტრავმის უფრო გართულებასაც არ გამორიცხავენ. თავად ფეხბურთელი კი მომავალს ოპტიმიზმით შესცქერის.

„იმედია, საქმე არ გართულდება და გუნდს დათქმულ ვადაზე ადრე დავუბრუნდები. მჯერა, რომ ტრავმა სერიოზული არ არის“ — ამბობს „ღამურათა“ უკანახაზელი.

**ლადო ხომერიკი**



კარლო ანჩელოტის პაოლო მალდინი არ ეთანხმება

# რა ვქნათ, რომ ბედი არ გვწყალობს

## მალდინის შეთქმულებისა არ სჯერა

„მილანის“ პრობლემებზე გუნდის ვეტერანმა კაპიტანმა პაოლო მალდინიმაც ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ „როსონერის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ცოტა ხნის წინ დაიჩივლა, მსაჯები ჩვენს საზიანოდ ზედმეტად ბევრ შეცდომას უშვებენ და საერთოდ, შთაბეჭდილება მრჩება ხოლმე, რომ „მილანის“ წინააღმდეგ შეთქმულებააო.

„დიდი იმედი მაქვს, რომ არანაირ შეთქმულებას ადგილი არ აქვს, თუმცა ვერსად გავექცევით იმას, რომ მსაჯები ჩვენ საზიანოდ ზედმეტად ხშირად ცდებიან და ეს სასიამოვნო ნამდვილად არ არის. თან, ბოლო დროს ბედიც არ გვწყალობს, მაგრამ პრობლემები ჩვენშიც უნდა ვეძებოთ. დაცვაზე უნდა ვიმუშაოთ და მთლიანად გუნდის თამაშის გადახალისებაა საჭირო“ — განაცხადა მალდინიმ.

„ატალანტასთან“ მატჩში წაგების გარდა, „მილანისთვის“ კიდევ ერთი ცუდი რამ მოხდა. ტრავმა მიიღო ჯენარო გატუზომ. „რინომ“ მუხლი დაიშავა და ექიმების ვარაუდით, სულ მცირე, ერთი თვე დაისვენებს.

პარალელურად, კლუბის სპორტული დირექტორი არიედო ბრაიდა დაახლოებით ორი კვირით ბრაზილიაში გაემგზავრა. იგი იქ „გრემიოს“ ორ ნიჭიერ ფეხბურთელს, ლუკას პეცინი ლეივისა და ევალდო სილვა სანტოსს დააკვირდება. პირველით მადრიდის „ატლეტიკოცაა“ დაინტერესებული და იგი ალბათ „გრემიოს“ იანვარშივე დატოვებს, მეორე კი ახალ კლუბში მომავალ ზაფხულში გადავა.

„არიედო სამხრეთ ამერაში 15-20 დღე დარჩება. მან უკვე თვალი დაადგა რამდენიმე ნიჭიერ მოთამაშეს, როგორც ადრე კაკას. რონალდინიოს დარი ტალანტების შეძენა მაშინაა შესაძლებელი, სანამ ისინი მაგალითად, „გრემიოში“ ან პსჟ-ში თამაშობენ, თორემ, როცა „ბარსელონასნაირ“ გრანდში გადავლენ, მერე სულ ცოტა 50-60 მილიონი ევრო გჭირდება“ — აღნიშნა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# რატომ არის ფაბიო კანავარო ქვეყნისა და ერის მოღალატე



**იტალიის** ნაკრების კაპიტანი და მადრიდის „რეალის“ მცველი ფაბიო კანავარო გერმანელ ჟურნალისტს გაესაუბრა და რამდენიმე საინტერესო კომენტარი გააკეთა. მათ შორის, კალჩოპოლის სკანდალზე და „იუვენტუსიდან“ წასვლაზე.

„ჩვენ ისეთი ძლიერი გუნდი გვყავდა, რომ არავის დახმარება არ გვჭირდებოდა. ბოლო წლებში „იუვენტუსმა“ ტიტულები სრულიად დამსახურებულად, მინდორზე მოგო. მოჯის მაქინაცმიები არაფერ შუაშია, მას არაფერი შეუცვლია. ტურინული კლუბის დატოვება გამიჭირდა, მაგრამ 33 წლის ვარ და სერია B-ში დარჩენა ვფიქრობ, სწორი არ იქნებოდა. თან უცხოურ კლუბში თამაში მინდოდა და „რეალის“ წინადადებაზე უარს ვერ ვიტყოდი. სამწუხაროდ, როდესაც ფეხბურთელი ქვეყანას ტოვებს, იტალიაში მას მოღალატედ აღიქვამენ“ — განაცხადა ვეტერანმა.

მუნდიალზე ბრწყინვალედ მოთამაშე კანავარო მიმდინარე სეზონში ისე ველარ ირჯება და ამას თავადაც აღიარებს, მაგრამ ამბობს, ნელნელა ყველაფერი დალაგდებაო.

„ვფიქრობ, ცუდად მხოლოდ „ლიონთან“ წაგებულ მატჩში ვითამაშე. ამის მერე ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ გერმანიაში ნაჩვენები თამაშისგან ჯერ შორს ვარს. როდესაც ერთ ქვეყანაში ათწლეულზე მეტს გაატარებ და მერე სათამაშოდ სხვაგან მიდიხარ, ცხადია, ადაპტაციისთვის გარკვეული დრო გჭირდება“ — აღნიშნა კანავარომ.

„სკუადრა აძურას“ კაპიტანმა ფაბიო კაპელოზეც გააკეთა კომენტარი და იგი დაიცვა. გასულ უქმეებზე, „სელტასთან“ საშინაო მარცხის შემდეგ, გამოცდილ ტაქტიკოსს კრიტიკის ახალი ქარცეცხლი დაატყდა თავს. „პარმასა“ და „ინტერის“ ყოფილმა მცველმა მწვრთნელი ანტონიო კასანოსთან მომხდარ ინციდენტშიც გაამართლა.

ფაბიო კანავარო: „კაპელოს ბევრი შრომა და დისციპლინა უყვარს, მაგრამ ქვის გული არ აქვს და მისი კრიტიკა გადამეტებული მეჩვენება. რაც შეეხება კასანოს, ყველას გული გვწყდება, რომ გუნდიდან მოკვეთეს და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ანტონიო ჯერ ახალგაზრდაა და მჯერა, ამ რთულ პერიოდსაც გაუმკლავდება“.

**გიორგი ძაძაბაძე**

ეს მართალია, ჭორი არ გეგონოთ

# პრეზიდენტი მორატი ფიგუს მოსკვაში უშვებს



**მასიმო მორატი** ოფიციალურად დაბრუნდა „ინტერის“ პრეზიდენტის პოსტზე. ორშაბათს მილანური კლუბის აქციონერთა კრებაზე „ნეროაძურის“ მფლობელი ულაპარაკოდ აირჩიეს. მორატი პრეზიდენტის ფუნქციებს რამდენიმე თვეა, ჯაჩინტო ფაკეტის გარდაცვალების მერე ასრულებს, იქამდე კი ამ პოსტზე 1995-2004 წლებში იყო.

ამასობაში, „ინტერის“ პორტუგალიელ ნახევარმცველ ლუიშ ფიგუს მომავალიც გაირკვა და როგორც ჩანს, რუსეთში მის შესაძლო გადაბარგების შესახებ საუბარი უსაფუძვლო ნამდვილად არაა. „მოსკვას“ გენერალურმა დირექტორმა იური ბელოუსმა დაადასტურა, რომ როცა „ინტერი“ მოსკოვში იმყოფებოდა „სპარტაკთან“ სათამაშოდ, ფიგუს ესაუბრა.

„შესაძლოა, ეს ტრანსფერი მართლაც შედგეს ახლო მომავალში, ჭორი არ გეგონოთ. ფიგუს რამდენიმე წელია, ვიცნობ და კიდევ ერთხელ შევხვდი. თუ იგი ოდესმე რუსეთში გადმობარგდება, მხოლოდ „მოსკვაში“ ითამაშებს“ — აღნიშნა ბელოუსმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# მილანმა გალიანი ლამის შეიწირა



**იტალიური** „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის ალბათ ახალი მანქანის ყიდვა მოუწევს. საქმე ისაა, რომ გასულ უქმეებზე, ბერგამოს „ატალანტასთან“ მარცხის შემდეგ, „როსონერის“ განრისხებულმა ულტრასებმა გალიანიზე თავდასხმა სცადეს და მის ავტომობილს ქვები დაუშინეს.

აპენინური პრესის ცნობით, თავად გალიანი არ დაზარალებულა, აი, მანქანა კი... ფანების ასეთ აგრესიულობას ამ სეზონში „მილანის“ ძალიან არადამაჯერებელი თამაში იწვევს. კლუბის ხელმძღვანელობა კი გაუთავებლად გაიძახის, მალე ყველაფერი გამოსწორდებაო.

**ქოქი ქანდელაკი**

# შუმიმ ფეხბურთელობა იუარა



**შვეიცარიულმა** ნახევრადპროფესიულმა კლუბმა „ეხიხენსმა“ მიხაელ შუმახერს კონტრაქტი შესთავაზა, თუმც ფეხბურთზე შეყვარებულმა და საკმაოდ კარგად მოთამაშე გერმანელმა უარი განაცხადა. შეგახსენებთ, რომ „ფორმულა 1“-ის შვიდგზის ჩემპიონმა „შუმიმ“ კარიერა რამდენიმე კვირის წინ დაასრულა.

„ეხიხენსის“ მწვრთნელ პატრიკ ფერარის თქმით, 37 წლის შუმახერის უარის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის ფიზიკური დატვირთვა გახდა, რომლის გადატანაც მას „ფორმულა 1“-ში თავის ბოლო სეზონში მოუხდა. ექიმებმა გერმანელს დასვენება ურჩიეს და იგი კლუბთან ერთად ყოველდღიურ ვარჯიშს ვერ შეძლებდა.

**ქოქი ქანდელაკი**




„მანჩესტერიდან“ წასვლა ალექს ფერგიუსონს ბობი რობსონმა გადაათქმევინა

# ამ ჭიქით ალექსს გაუმარჯოს!
## ჰილტონში გაშლილი სუფრის ამბავი

**ლეგენდარული** ინგლისელი მწვრთნელი ბობი რობსონი იგონებს, როგორ გადაათქმევინა ერთხელ სერ ალექს ფერგიუსონს ფეხბურთიდან წასვლა. ეს ამბავი 2002 წელს მომხდარა, როდესაც ფერგი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გამომშვიდობებას აპირებდა. ვისაც ახსოვს, როგორ განვითარდა მერე მოვლენები, დაგვიდასტურებს, რომ სქოთმა მწვრთნელმა, რომელსაც ორშაბათს „იუნაიტედში“ მუშაობის 20 წელიწადი შეუსრულდა, ერთი ხნის ყოყმანის შემდეგ საჯაროდ გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილება შეცვალა, თუმცა ის, რომ ამას წინ რობსონთან საუბარი უძღოდა, ბევრისთვის, ალბათ უცნობია.

რობსონი იგონებს: „ახლა უკვე ოთხი წელიწადია გასული, რაც ალექსს მის მომავალზე ვესაუბრე. მაშინ მე მას პირდაპირ ვუთხარი, რომ მთელი ეს „ოლდ ტრეფორდის“ „დინასტია“ პირდაპირ მან შექმნა და გაუგებარია, რატომ უნდა გადააბაროს სხვას. ალექსი დიად საქმეს აკეთებს და კიდევ დიდხანს შეუძლია გააგრძელოს“.

73 წლის ბობი რობსონი იმ 60 დიდ საფეხბურთო მოღვაწეს შორისაა, რომელიც ორშაბათს ფერგიუსონის საიუბილეო საღამოზე გახლდათ დაპატიჟებული. ქალაქ მანჩესტერის სასტუმრო „ჰილტონში“ მის გარდა გახლდნენ „იუნაიტედის“ ყოფილი ვარსკვლავები: პიტერ შმაიხელი, ბრაიან რობსონი, მარკ ჰიუზი, დენის ლოუ და სტივ ბრიუსი.

პრემიერლიგის მოწინააღმდეგე გუნდების მწვრთნელთაგან „ჰილტონში“ მოულხინეს დევიდ მოიესმა, ნილ უორნოკმა, მარტინ ონილმა, პოლ ჯუელმა, სემ ალარდაისმა და ადრიან ბოთროიდმა. ჟოზე მაურინიუ და არსენ ვენგერი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ფერგიუსონს არ დაუპატიჟებია.

„მანჩესტერის“ საღამოს ვარჯიშის შემდეგ სტუმრებს შეუერთდნენ რაიან გიგზი და გარი ნევილი.

ფერგიუსონი სასტუმროში უკანა, ეგრეთწოდებული სამუშაო შესასვლელიდან შევიდა და ამით ფოტოგრაფებს აარიდა თავი.

კიდევ ერთმა სტუმარმა, ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა, რომელიც კარგა ხანს „მანჩესტერ იუნაიტედში“ ფერგის ასისტენტი გახლდათ, ყოფილ შეფზე ასე ბრძანა:

„ოცი წელიწადის ასე გატარება მხოლოდ ალექსს თუ შეეძლო. ეს მისი ხასიათიდან გამოდის. ალექსი იგებს ერთ ჯილდოს და იმავე საღამოს ახალზე იწყებს ფიქრს“.

თავად ფერგის კი წვეულებაზე ასე განუცხადებია: „დიახ, ასაკი მომემატა, მაგრამ გულში იგივე ცეცხლი მიტრიალებს. აი, მაგალითად, ახლა თასზე „სანდერლენდთან“ გვიწევს თამაში და ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ სწორედ „ქრიუსთან“ და „სანდერლენდთან“ უნდა ვითამაშოთ სერიოზულად, რადგან ფეხბურთში მოდუნება არ შეიძლება, ფეხბურთმა მოდუნების გამო დასჯა იცის“.

**პაპუნა კედია**

# ქაჯი ყოფილხარ, ელ-ჰაჯი!
## დიუფმა ცოლსაც შეაფურთხა

**„ბოლტონის“** თავდამსხმელი ელ-ჰაჯი დიუფი ცოლის გალახვისთვის დაიჭირეს. სენეგალელის მეუღლეს პოლიციაში განუცხადებია, რომ ქმარმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და შეაფურთხა. დიუფის დაკავებაც ამას მოჰყვა.



პოლიციის თქმით, დიუფი ოთხშაბათამდე განყოფილებაში დარჩება, რასაც დაკითხვა და ინციდენტის დეტალებში გარკვევა მოჰყვება. განაჩენსაც ამის მერე მიიღებენ.

შეგახსენებთ, რომ დიუფის მყრალი ხასიათი დიდი ხანია ცნობილია. მას ადრეც არაერთხელ მიუყენებია შეურაცხყოფა გულშემატკივრებისთის და დასჯილა კიდეც. ახლა კი ცოლზეც გაიწია.

**გიორგი კაკაბაძე**



ფრედი შეპარდი

# მოიყვანეთ ახალი აბრამოვიჩი და...

**ცუდად** არის „ნიუკასლ იუნაიტედის“ საქმე — შაბათს „შეფილდთან“ 0:1 წააგო და „ჩარლტონ ატლეტიკთან“ ბოლო დაგილს იყოფს.

მერე? მერე ის, რომ ფანებმა არც მეტი, არც ნაკლები, კლუბის თავმჯდომარის ფრედი შეპარდის გადადგომა და ახალი მეპატრონის მოძიება მოითხოვეს, მაგრამ სად არის ახალი მეპატრონე? ჰოდა, სანამ ახალი მეპატრონე მოვიდოდეს, „კაჭკაჭებს“ კვლავ შეპარდი, უფრო ზუსტად კი კუნძულ ჯერსიზე დარეგისტრირებული ფირმა „ბელგრავია“ მართავს და შეეცდება მდგომარეობის გამოსასწორებლად ფული იშოვნოს ან რაიმე სხვა შედეგიან ხერხს მიმართოს.

ასეა თუ ისე, მალიორკადან დაბრუნებულ თავმჯდომარეს გაავებული ჯორდი ფანების მკვახე შეკითხვებზე მოუხდა პასუხების გაცემა.

„ჩვენი კომპანია საჯაროა, კერძო რომ იყოს, სხვა იქნებოდა. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ მე, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იძულებული ვარ გავაკეთო ის, რაც საქმეს წაადგება და არა ის, რაც პირადად ჩემთვის იქნება სასარგებლო. ახლა, ვინმე ჯორდი-აბრამოვიჩი რომ გამოჩნდეს და „ნიუკასლის“ შეძენა გადაწყვიტოს, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა არსად გავუშვა და კლუბი მის საკუთრებაში გადავიდეს, მაგრამ ვაგლახ, ასეთი ჯერჯერობით არავინ ჩანს, მე კი ფანების მოტყუება არ მინდა“.

შემდეგ შეპარდმა დასძინა, რომ ის არ არის განაწყენებული იმ ქომაგებზე, რომელთაც „სენტ ჯეიმს პარკის“ გარეთ შაბათს დემონსტრაცია მოაწყვეს. მან თქვა:

„მე ეს ხალხი მიყვარს, რადგან თავად ერთი მათგანი გახლავართ და „ჯორდებთან“ ურთიერთობაში ცხოვრებაში არ მქონია პრობლემა. ასე განსაჯეთ, ვითარება ცოტა სხვანაირი რომ იყოს, შესაძლოა, მე თავად ვყოფილიყავი გარეთ, მათ შორის და თავად მომეთხოვა თავმჯდომარის გადადგომა. ერთი სიტყვით, არ ვღიზიანდები, რადგან ამ ყველაფრის სწორად შეფასება ჩემი ვალდებულებაა და სწორი დასკვნებიც მე უნდა გამოვიტანო. რას ვაპირებ ახლა? რას და „ნიუკასლ იუნაიტედის“ ძლიერების აღსადგენად მუშაობა უნდა განვაგრძო. „ნიუკასლი“ ხომ „ნიუკასლია“ და ამ კლუბისგან ყველა ბევრს ელოდება. მინდა მოგახსენოთ, რომ ბრძოლას ცხოვრებაში არ გავქცევივარ“.

**პაპუნა კედია**

# შვედი კიევში
## სურკისმა ერიკსონს 9 მილიონი შესთავაზა

**უკრაინული** ჟურნალ-გაზეთები გვამცნობენ, რომ კიევში ჩასულ სვენ-გორან ერიკსონს „დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა ერთწლიანი კონტრაქტი და 9 მილიონი დოლარი შესთავაზა. ამბობენ იმასაც, რომ შვედი სპეციალისტისთვის უკრაინის ნაკრების ჩაბარებაზე საუბარი არც ყოფილა.

ინგლისის ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს მოსაფიქრებლად ცოტა დრო უთხოვია. თუ იგი დათანხმდა, ბოლო დროს ცუდად მოთამაშე კიეველებს დეკემბერში ან იანვარში ჩაიბარებს და ეს იმ შემთხვევაშიც მოხდება, თუ „დინამოს“ ამჟამინდელი თავკაცი ანატოლი დემიანენკო გუნდს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში დარჩენილ ორ შეხვედრას მოაგებინებს.



**კოკი ქანდელაკი**

# გლენ, თუ წახვალ, კარგს იზამ
## გაჯორავს დაუმი ჯორდებს?



**ინგლისური** „ნიუკასლის“ მთავარ მწვრთნელ გლენ როოდერს წყალი შეუდგა. პრემიერლიგაში ჩატარებული 11 ტურის შემდეგ „კაჭკაჭები“ ბოლოსწინა ადგილზე არიან და როოდერის წასვლაზეც აქტიურად ალაპარაკდნენ. შეგახსენებთ, რომ იგი გუნდში წინა სეზონის შუაწელს დროებით მივიდა, მაგრამ „ჯორდები“ ისე აათამაშა, რომ პოსტზე დატოვეს, თუმცა ამ სეზონში მას საქმეები კარგად აღარ მისდის.

„ნიუკასლის“ მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად კრისტოფ დაუმი სახელდება. გერმანელი ბოლოს თურქულ „ფენერბაჰჩეს“ ედგა სათავეში და ზაფხულის მერე უმუშევარია.

„ინგლისი მართლაც მიზიდავს. პრემიერლიგისა და ბუნდესლიგის კლუბებიდან რამდენიმე წინადადება მივიღე, მათ შორის „ნიუკასლისაც“ — მოკლედ თქვა დაუმმა.




# დიდი მატჩის ერთი მონაწილე

## მიკაელ ესიენისთვის ბარსა-ჩელსი კლასიკაა

მიკაელ ესიენი მხოლოდ 23 წლისაა, მაგრამ მსოფლიო აღიარება არ აკლია. „ჩელსის“ ძალისმიერ ნახევარმცველს გასულ ზაფხულს მშობლიური განის ნაკრებში თამაშითაც გაუვარდა სახელი. ის მსოფლიოს ჩემპიონატზე, გერმანიის სტადიონებზე ყოჩაღობდა და სრულიად აფრიკული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ აღზრდილთაგანადაც ითვლება. მუნდიალზე განელებმა მერვედფინალს მიაღწიეს, არადა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად თამაშობდა. დღეს, როდესაც მუნდიალიდან უკვე ხუთი თვეა გასული, ესიენი მხოლოდ „ჩელსის“ საქმეებითაა დაკავებული და ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს. მერედა, ამ ოცნებას საბაბი არ აქვს თუ რა? განა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში არ იყო, ლონდონელებმა ბარსელონაში „კამპ ნოუზე“ ბოლო წამს გატანილი გოლით ფრედ რომ ითამაშეს და პლეი ოფის ეტაპამდე ერთი ნაბიჯილა აშორებთ?

სწორედ ამ თამაშის შემდეგ შედგა განელი ვარსკვლავისა და fifa.com-ის კორესპონდენტის საუბარი და საკვირველი არ გახლავთ, რომ ძირითადად ამ დაუვიწყარ სანახაობას დაეთმო

— „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ თამაში ნამდვილი სპექტაკლი იყო. ასეთ დიდ შეხვედრაში მონაწილეობა, ალბათ საოცარ შეგრძნებას უნდა იწვევდეს, არა?

— პირადად მე ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრებში თამაში დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ბედნიერი ვარ, ჩემ კარიერაში ამგვარი შეხვედრები რომ გროვდება და საოცარ გამოცდილებას ვიძენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ „ბარსელონა“ — „ჩელსიში“ მონაწილეობა ხომ ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს საღამო ზოგადად ფეხბურთისთვის იყო ძალიან სასარგებლო. მეთანხმებით?

— საოცარი ატმოსფერო სუფევდა. არ იყო რასისტული გამოხდომები და სხვა ტიპის ხულიგნობანი, ხალხი ორი დიდი გუნდის მშვენიერი თამაშის სანახავად გახლდათ შეკრებილი. ყოველთვის ასე უნდა იყოს. ყველამ უნდა დაინახოს, რომ ფეხბურთიდან რასიზმის განდევნას შედეგი მოაქვს.

— ბევრი ამტკიცებს, რომ დღეს ევროპის საუკეთესო გუნდი „ჩელსია“. ასეა?

— ჩვენ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ვართ და ვინაიდან წინ გზას კიდევ ვხედავთ, ვფიქრობ, რომ პროგრესი ამით არ დაგვისრულებია. დღეს „ჩელსის“ გასახდელში საუცხოო ატმოსფეროა, საკუთარი თავის რწმენა ნამდვილად არ გვაკლია და ამ ყველაფერს შედეგები ადასტურებს. ერთი სიტყვით, ჩვენ ვალდებული ვართ, კარგად თამაში განვაგრძოთ და ვნახოთ, რა მოხდება, თუმც გული მხოლოდ კარგს მიგრძნობს.

— ჟოზე მაურინიუსა და მის სამწვრთნელო მეთოდებზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. რას გეუბნებოდათ მწვრთნელი „ბარსელონასთან“ თამაშის წინ?

— ამგვარი თამაშებისთვის ფეხბურთელებს დამატებითი მოტივაცია ნამდვილად არ გვჭირდება. ერთი სიტყვით, იმ დღეს მწვრთნელის წასაქეზებელი არაფერი გვჭირდა, მოედანზე გავედით და რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავიღეთ. მოკლედ, მაურინიუს განსაკუთრებული არაფერი დასჭირვებია, მან უბრალოდ აგვიხსნა, თუ კონკრეტულად რას ელოდა ჩვენგან და სად გადიოდა ის პირობითი ხაზი, რომელიც არ უნდა გადაგვეკვეთა, თორემ დავმარცხდებოდით და პასუხისმგებლობა ჩვენ, მოთამაშეებს დაგვეკისრებოდა.

— ჯერ 24 წელი არც კი შეგსრულებიათ და უკვე მსოფლიოს ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში გაქვთ ნათამაშევი. რა გადაგხდენიათ ფეხბურთში ისეთი, რასაც საგანგებოდ გამოარჩევდით?

— ვფიქრობ, ჩემს კარიერაში ყველაფერი საუცხოო იყო, მეტადრე ის ორი შეჯიბრება, რომლებიც თქვენ დაასახელეთ. ზოგადად კი, ჩემი მიზანი ყოველ კონკრეტულ შეხვედრაში სიამოვნებით თამაშია. მხოლოდ ასეთ დროს იღებ ყველაფერს, რისი მოცემაც ფეხბურთსა და ცხოვრებას შეუძლია.

— შეიძლება „ბარსა“-„ჩელსი“ მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიისა და საფრანგეთის თამაშის გვერდით დავაყენოთ?

— ეს სიტყვები ჩემს ყურს სასიამოვნოდ ხვდება. ასე რომ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. დაე, ასე იყოს.

# შემოლაწუნება

## უყურა ბარსელონას და იმსაჯა ტოტენჰემი

„ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ ანჩხლ თამაში დამარცხების შემდეგ „ჩელსიმ“ და მისმა მცველმა ეშლი კოულმა ცნობილ მსაჯ გრემ პოლს ომი გამოუცხადეს. აი, რა თქვა ლონდონელთა მცველმა ეშლი კოულმა:

„ასეთი მსაჯების ხელში ფეხბურთის თამაშს საერთოდ არ აქვს აზრი. როდესაც იტყობ ვინ დანიშნეს შენს მატჩზე, უკვე იცი, რომ მძიმე დროების გადატანა მოგიწევს“.

დიახ, „ლურჯები“ პოლის მსაჯობით აღშფოთებულნი არიან და ამტკიცებენ, რომ არბიტრმა მათ ორ თანაგუნდელს ასეთი რამ უთხრა: „თქვენ თავს გახვედით, უდისციპლინობით უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯეთ და დროა, ჭკუა გასწავლოთ“.

ჩელსელების მტკიცებით, პრობლემა მაშინ წარმოიშვა, როდესაც ისინი 1:0-ს იგებდნენ და დიდიე დროგბამ მეორეც შეაგდო, მაგრამ პოლმა გოლი არ ჩათვალა.

კოული ამბობს, რომ პოლმა მატჩის დასაწყისში ფრენკ ლამპარდს პირდაპირ განუცხადა, რომ „ჩელსის“ ლოყაში კარგი გალაწუნება და დისციპლინის დამყარება სჭირდება.

გავიხსენოთ, როგორ დამთავრდა „ტოტენჰემისა“ და „ჩელსის“ ხსენებული შეხვედრა: „ტოტენჰემმა“ 2:1 მოიგო, „ჩელსის“ მოედნიდან ჯონ ტერი გაუძევეს და პლუს, ექვსმა მოთამაშემ ყვითელი ბარათი მიიღო. როგორც ამბობენ, ახლა „ლურჯებს“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისგან 250 ათასი გირვანქიანი ჯარიმა და „არასპორტული საქციელის“ გამო სხვა შესაძლო სასჯელიც ელით.

დავუბრუნდეთ ისევ ეშლი კოულს, რომელიც ამბობს, რომ გრემ პოლი გასულ კვირას ბარსელონაში ჩატარებული ჩემპიონთა ლიგის თამაშის გავლენის ქვეშ იყო და „ჩელსის“ შეხვედრას ისე სჯიდა. შეგახსენებთ, რომ ბარსელონაში „ჩელსიმ“ 2:2 ითამაშა, მაგრამ აქ თამაშის ხარისხისა და შედეგის კი არა, ქცევის გავლენაზეა ლაპარაკი. კერძოდ, ამბობენ, რომ „კამპ ნოუზე“ დიდიე დროგბა მცირე შეჯახებებზეც ეცემოდა მოედანზე, ხოლო ჟოზე მაურინიუს ბოლო წამს ანგარიშის გათანაბრების გამო გამოწვეული სიხარული, უფრო სწორედ კი ამ სიხარულის მუხლებზე დაცემით გამოხატვა დაუწუნეს. კოულმა თქვა:



„ცხადია, „სფურზის“ თამაშზე გავლენა იქონია იმან, რაც ჩვენ ბარსელონაში გადაგვხდა. პოლმა რა საკვირველია, ის თამაში ნახა, თავისი მოსაზრება ჩამოუყალიბდა და გადაწყვიტა, ყველასთვის ამ მოსაზრების სიმართლე დაემტკიცებინა. წუწუნში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ისეთი თამაში, როგორიც „ტოტენჰემთან“ ვითამაშეთ, არ უნდა წაგვეგო“.

კიდევ ამბობენ, რომ პოლმა დროგბას გოლის არჩათვლის შემდეგ, „ჩელსის“ ფეხბურთელთა პროტესტი თამაშის მოხსენებაშიც შეიტანა და ფეხბურთის ასოციაციას წარუდგინა, რის გამოც ლონდონელებს სავარაუდოდ, სასჯელი დაუმძიმდებათ. არ არის გამორიცხული, იმ კომენტარის გამო, რომელიც ახლა წაიკითხეთ, ეშლი კოულიც დააჯარიმონ.

**პაატა ძიძია**

## იტალია

სერია B. X ტური

ნაპოლი 1:1 იუვენტუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 10 | 6 | 2 | 2 | 19:12 | 20 |
| პიაჩენცა | 10 | 6 | 1 | 3 | 10:10 | 19 |
| რიმინი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:9 | 18 |
| იუვენტუსი | 10 | 8 | 2 | 0 | 18:3 | 17 |
| ბარი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:7 | 17 |
| მანტოვა | 10 | 4 | 4 | 2 | 14:11 | 16 |
| ნაპოლი | 10 | 4 | 4 | 2 | 11:8 | 16 |
| ბოლონია | 10 | 5 | 1 | 4 | 12:11 | 16 |
| ჩეზენა | 10 | 4 | 3 | 3 | 18:15 | 15 |
| ალბინოლეფე | 10 | 3 | 6 | 1 | 8:7 | 15 |
| ბრეშა | 10 | 4 | 3 | 3 | 8:9 | 15 |
| ლეჩე | 10 | 4 | 2 | 4 | 14:13 | 14 |
| ფროზინონე | 10 | 4 | 2 | 4 | 11:10 | 14 |
| ტრიესტინა | 10 | 3 | 5 | 2 | 7:6 | 13 |
| მოდენა | 10 | 3 | 2 | 5 | 8:11 | 11 |
| ვერონა | 10 | 2 | 4 | 4 | 4:6 | 10 |
| ტრევიზო | 10 | 2 | 4 | 4 | 10:13 | 10 |
| სპეცია | 10 | 1 | 6 | 3 | 9:12 | 9 |
| კროტონე | 10 | 1 | 3 | 6 | 6:18 | 6 |
| პესკარა | 10 | 0 | 5 | 5 | 8:15 | 4 |
| ვიჩენცა | 10 | 0 | 3 | 7 | 5:13 | 3 |
| არეცო | 10 | 0 | 5 | 5 | 2:10 | -1 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XIII ტური

ინვერნესი 1:1 აბერდინი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 13 | 11 | 1 | 1 | 25:9 | 34 |
| ჰართსი | 13 | 6 | 3 | 4 | 20:14 | 21 |
| რეინჯერსი | 13 | 5 | 4 | 4 | 20:16 | 19 |
| აბერდინი | 13 | 5 | 4 | 4 | 15:12 | 19 |
| ინვერნესი | 13 | 4 | 7 | 2 | 16:14 | 19 |
| კილმარნოკი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:21 | 19 |
| ფოლკირკი | 13 | 5 | 2 | 6 | 16:16 | 17 |
| ჰიბერნიანი | 13 | 4 | 4 | 5 | 20:15 | 16 |
| სენტ მირენი | 13 | 4 | 4 | 5 | 13:15 | 16 |
| მოზერუელი | 13 | 3 | 3 | 7 | 14:19 | 12 |
| დანდი იუნ. | 13 | 2 | 5 | 6 | 12:26 | 11 |
| დანფერმლაინი | 13 | 2 | 3 | 8 | 9:20 | 9 |

## ინგლისი

ჩემპიონატი. XVI ტური

სტოკი 1:0 ქოვენთრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პრესტონი | 16 | 9 | 5 | 2 | 29:16 | 32 |
| კარდიფი | 16 | 9 | 4 | 3 | 29:16 | 31 |
| ბარნლი | 16 | 9 | 4 | 3 | 26:14 | 31 |
| ბირმინგემი | 16 | 9 | 3 | 4 | 21:15 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 7 | 5 | 4 | 28:18 | 26 |
| ვულვზი | 16 | 8 | 2 | 6 | 15:18 | 26 |
| პლიმუთი | 16 | 6 | 7 | 3 | 22:17 | 25 |
| დერბი | 16 | 7 | 4 | 5 | 24:22 | 25 |
| კოლჩესტერი | 16 | 7 | 3 | 6 | 24:18 | 24 |
| საუთჰემპტონი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:17 | 23 |
| ქოვენთრი | 16 | 7 | 1 | 8 | 14:14 | 22 |
| ლუთონი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:28 | 22 |
| ნორვიჩი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:27 | 22 |
| სტოკი | 16 | 5 | 6 | 5 | 22:15 | 21 |
| იფსვიჩი | 16 | 6 | 3 | 7 | 26:24 | 21 |
| ლესტერი | 16 | 5 | 6 | 5 | 16:17 | 21 |
| უენსდი | 16 | 5 | 5 | 6 | 18:22 | 20 |
| სანდერლენდი | 16 | 6 | 1 | 9 | 20:23 | 19 |
| ქუინზ პარკი | 16 | 4 | 6 | 6 | 26:28 | 18 |
| კრ. პალასი | 16 | 5 | 3 | 8 | 19:24 | 18 |
| ბარნსლი | 16 | 4 | 3 | 9 | 22:32 | 15 |
| ლიდსი | 16 | 4 | 2 | 10 | 16:32 | 14 |
| ჰალი | 16 | 3 | 4 | 9 | 12:21 | 13 |
| საუთენდი | 16 | 2 | 4 | 10 | 15:31 | 10 |

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

XIII ტური

ლიბერეცი 0:0 სპარტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 13 | 8 | 4 | 1 | 20:4 | 28 |
| სპარტა | 13 | 7 | 5 | 1 | 15:5 | 26 |
| ბოლესლავი | 13 | 8 | 1 | 4 | 20:13 | 25 |
| სლავია | 13 | 6 | 4 | 3 | 19:11 | 22 |
| ბრნო | 13 | 5 | 6 | 2 | 11:8 | 21 |
| ბუდეიოვიცე | 13 | 6 | 3 | 4 | 15:16 | 21 |
| ტეპლიცე | 13 | 5 | 4 | 4 | 22:17 | 19 |
| იაბლონეცი | 13 | 4 | 6 | 3 | 14:13 | 18 |
| ბანიკი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:17 | 18 |
| პლზენი | 13 | 4 | 5 | 4 | 14:16 | 17 |
| მოსტი | 13 | 3 | 5 | 5 | 16:20 | 14 |
| კლადნო | 13 | 4 | 2 | 7 | 12:21 | 14 |
| სიგმა | 13 | 3 | 3 | 7 | 12:19 | 12 |
| პრჟიბრამი | 13 | 2 | 5 | 6 | 10:16 | 11 |
| ზლინი | 13 | 2 | 4 | 7 | 7:16 | 10 |
| სლოვაცკო | 13 | 1 | 2 | 10 | 7:19 | 5 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XV ტური

მეცი 1:0 ამიენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 15 | 12 | 2 | 1 | 22:6 | 38 |
| სტრასბური | 14 | 8 | 5 | 1 | 20:8 | 29 |
| კაენი | 14 | 7 | 6 | 1 | 24:12 | 27 |
| შატორუ | 14 | 7 | 4 | 3 | 20:16 | 25 |
| დიჟონი | 14 | 7 | 4 | 3 | 17:13 | 25 |
| ლე ავრი | 14 | 6 | 6 | 2 | 22:13 | 24 |
| გრენობლი | 14 | 6 | 5 | 3 | 19:16 | 23 |
| რეიმსი | 14 | 6 | 4 | 4 | 14:8 | 22 |
| ამიენი | 15 | 6 | 3 | 6 | 17:19 | 21 |
| ბასტია | 14 | 5 | 3 | 6 | 21:20 | 18 |
| აიაჩო | 14 | 4 | 5 | 5 | 14:17 | 17 |
| ბრესტი | 14 | 3 | 6 | 5 | 13:15 | 15 |
| გენიონი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:23 | 15 |
| კრეტეი | 14 | 3 | 5 | 6 | 8:17 | 14 |
| ლიბურნი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:17 | 13 |
| მონპელიე | 14 | 3 | 3 | 8 | 17:19 | 12 |
| ნიორი | 14 | 2 | 6 | 6 | 13:20 | 12 |
| ისტრი | 14 | 3 | 3 | 8 | 10:22 | 12 |
| გენგამი | 14 | 2 | 5 | 7 | 12:16 | 11 |
| ტურსი | 14 | 2 | 2 | 10 | 10:22 | 8 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. IX ტური

სპორტინგი 3:0 ბრაგა

სეტუბალი 0:3 პორტუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 9 | 7 | 1 | 1 | 21:6 | 22 |
| სპორტინგი | 9 | 6 | 2 | 1 | 16:7 | 20 |
| ბენფიკა | 8 | 5 | 1 | 2 | 18:9 | 16 |
| ნასიონალი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:7 | 16 |
| მარიტიმუ | 9 | 5 | 1 | 3 | 11:9 | 16 |
| ლეირია | 9 | 5 | 1 | 3 | 10:11 | 16 |
| ნავალი | 9 | 4 | 3 | 2 | 9:7 | 15 |
| ბრაგა | 9 | 4 | 2 | 3 | 10:11 | 14 |
| ფერეირა | 9 | 3 | 3 | 3 | 10:13 | 12 |
| ბელენენსეში | 8 | 3 | 2 | 3 | 7:6 | 11 |
| აკადემიკა | 9 | 2 | 4 | 3 | 11:12 | 10 |
| ბოავიშტა | 9 | 3 | 1 | 5 | 11:14 | 10 |
| სეტუბალი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:12 | 8 |
| ბეირა მარი | 9 | 1 | 3 | 5 | 11:20 | 6 |
| ამადორა | 9 | 1 | 1 | 7 | 3:15 | 4 |
| ავეში | 9 | 0 | 2 | 7 | 5:16 | 2 |

# ფან-ტომი

## ერთგულება არგენტინულად




**არგენტინული** ტელევიზია **TYC SPORTS**-ი ძირითად ყურადღებას საფეხბურთო ფანატებს უთმობს, რეიტინგულ გადაცემას „ერთგულება“ კი მთელი ქვეყანა უყურებს. აქ სტუდიაში სხვადასხვა არგენტინული კლუბების ინჩასებს იწვევენ და ისინიც თავიანთ გუნდებზე, ფეხბურთელების მიმართ სიყვარულზე, კლუბებისადმი თავდადებასა და სხვა ათას თემაზე საუბრობენ. გადაცემის მსვლელობისას ინჩასთა შორის დაპირისპირებებიც ხდება, თუმც ისინი ერთმანეთს კი არ ლანძღავენ, არამედ ცდილობენ, მეტოქე საკუთარი გუნდისადმი ფანატიზმით და წრეგადასული ერთგულებით დაჯაბნონ...

„ბარას ბრავასის“ ბრიგადები ევროპელი თანამოძმეების მსგავსად, გუნდების და ცალკეული ფეხბურთელების ფანატები არიან, თუმცა არგენტინა ევროპულ საფეხბურთო ქვეყნებზე გაცილებით ღარიბია, კლუბებიდან ნიჭიერი ფეხბურთელები მასიურად გარბიან და გულშემატკივრები მავანის კერპის დონეზე შეყვარებას იშვიათად ახერხებენ.

ამიტომაც პატაგონიელებს კლუბის, მისი ფერებისა და სიმბოლიკის სიყვარული განსაკუთრებით აქვთ გამძაფრებული. მოთამაშეები მიდი-მოდიან, „ბოკა ხუნიორსი“, „რივერ პლეიტი“, „ესტუდიანტესი“ და სხვა ასეთი გუნდები კი ყოველთვის იქნებიან. „ბარას ბრავა“ ევროპაში გაქცეულ ფეხბურთელებს ხშირ შემთხვევაში მოღალატეებად თვლის, ღირსეულებად კი სამშობლოში დარჩენილებს მიიჩნევს. საქმეს არგენტინიდან და საერთოდ ლათინური ამერიკიდან ევროპულ გრანდებში მობურთალთა გადასვლის „ქურდული“ წესიც ამძაფრებს. კლუბების მეპატრონეებს ფული უჭირთ და მათთვის ფეხბურთელთა ძვირად გასხვისება ნამდვილი მისწრებაა. ოღონდ ტრანსფერებს, როგორც წესი, წინასწარ არ აცხადებენ. ეს ინჩასების გამძვინვარებას იწვევს... მაგალითად, ჩავიდა „რეალის“ აგენტი და პრესაში რომელიმე ბოკელით, ან ესტუდიანსელით დაინტერესების შესახებ გამოაცხადა. რა თქმა უნდა, ფეხბურთელის პატრონი გუნდის პრეზიდენტი სახალხოდ მაშინვე ამაყად გამოაცხადებს — ბიჭს ჩვენთან დარჩენა უნდა და საერთოდ, ჩვენ ფულზე არ ვიყიდებითო. ეს სახალხოდ, თორემ კულისებს მიღმა გახურებული სატრანსფერო მოლაპარაკებები მიმდინარეობს. და მაშინ, როცა ინჩასებს თავი ქუდში ჰგონიათ და ელოდებიან, რომ მავანი ფერნანდო კავენაგი ან დანიელ ბილოში გუნდში კარიერის ბოლომდე დარჩება, უეცარი ტრანსფერიც იჩარხება და მორიგი არგენტინელი ვარსკვლავი „რეალში“, „ბარსელონაში“ თუ სხვა ევროპულ გრანდში გარბის... „ბარას ბრავა“ მრისხანებს და კლუბის მეპატრონეს შუაზე გაგლეჯით ემუქრება, მაგრამ მალე ისევ შერიგდებიან, ფეხბურთში ხომ დიდი სიყვარული და დიდი ტყუილი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან.

სამხრეთ ამერიკაში ფანთა დაჯგუფებები დიდი ორგანიზებულობით და დისციპლინით ვერ დაიტრაბახებენ. ევროპაში გუნდებს დისციპლინირებული საომარი ბრიგადები ჰყავთ, აქ კი სრული ანარქიაა, რეგიონი რეგიონს ებრძვის, უბანი უბანს და ყველაზე ღირშესანიშნავი კი ისაა, რომ ესენი... ერთ გუნდს ქომაგობენ. „ბოკა“ ან „რივერი“ ყველას უყვარს, მაგრამ ტრიბუნაზე გვერდით მჯდომი თანამოძმე ინჩასები ხშირად გულზე არ ეხატებათ. ასევე ხშირად ხდება, უბნელი ფანებიც რომ დასცხებენ ხოლმე ერთმანეთს. მსგავსი ფენომენი მარტო ლათინური ამერიკისთვისაა დამახასიათებელი, ევროპაში ასეთი რამ უბრალოდ, არ არსებობს. არგენტინაში კი შედარებით ორგანიზებულად „რივერის“ დაჯგუფება „ლოთები“ („ბორაჩოს დელ ტაბლონ“) ითვლება.

### ფინანსები

ყოველ „ბარა ბრავას“ შემოსავლის საკუთარი წყარო აქვს, თუმცა ძირითადად მეომარ ბრიგადებს ფული კლუბთა მეპატრონეების ჯიბიდან, პოლიტიკოსების და ფეხბურთელების „შემოწირულობებიდან“ და ნარკოტიკებისა და მატჩის ბილეთების გაყიდვით შემოსდით.

ევროპაში ქომაგობა საარჩევნო პროცესებზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს. აქ საქმე სულ სხვაგვარადაა. კლუბთა თავკაცების მიერ ნაყიდი და დანაპირებები „ბარას ბრავას“ მველრომაული კლიენტების მსგავსად, ისინი საარჩევნო უბნებს ხშირად მიეჭრებიან და თუ იქ სასურველი კანდიდატი ვერ იმარჯვებს, იქაურობას ლეწავენ და... არჩევნებიც იშლება. 2003 წელს პერონისტი პოლიტიკოსი ლუის ბარინუევო, რომელიც ამავდროულად „ჩაკარიტა ხუნიორსის“ ბრიგადის მეთაური (!) იყო, კატამარკას პროვინციაში გუბერნატორის არჩევნებში მონაწილეობდა. ამომრჩევლებმა დონ ლუისს უგანეს, ინჩასთა ბელადმა ხმების მინიმუმი მოაგროვა და წესით, ხელიც უნდა ჩაექნია, თუმცა... კატამარკაში „ჩაკარიტა ხუნიორსის“ ხალხმა ნამდვილი რევოლუცია მოაწყო და არჩევნების შედეგები გაუქმებულად გამოაცხადეს. მერე, ხანი რომ გავიდა, პოლიციამ მრავალი შფოთისთავი ჩააყუდა ვირის აბანოში, მათ შორის ბევრი თავგახურებული ინჩასიც იყო.

ხანდახან დაჯგუფებები მშობლიური კლუბის პრეზიდენტებსაც აუმხედრდებიან ხოლმე. 2006 წლის 12 აგვისტოს ერთ-ერთმა პატაგონიურმა გუნდმა თავის გულშემატკივრებს შეპირებული 400-ის ნაცვლად 200 ბილეთი მისცა და ფანებმაც სტადიონის მისადგომები იავარყვეს. დაჭრილ-დასახიჩრებულები „ბარას ბრავას“ მხრიდანაც იყვნენ და პოლიციისგანაც.

ეშმაკი პრეზიდენტები ბრიგადებს ფეხბურთელების შესაშინებლადაც იყენებენ. დავუშვათ, რომელიმე ნიჭიერმა გაუჩომ ახალი კონტრაქტის მოწერაზე ყოყმანი დაიწყო და სხვა კლუბისკენ გაიხედა, მაშინ უმალ კლუბის მეპატრონისგან წაქეზებული ფანთა არმია ამოქმედდება. გულშემატკივრები ფეხბურთელის სახლს ალყას არტყავენ, საწყალ ბიჭს მოსვენებას არ აძლევენ და ფიზიკური ლიკვიდაციითაც ემუქრებიან... თუ გაუჩო სუსტი ნებისყოფისაა, ან რომელიმე სხვა კლუბში თამაშის დაწყების ასპროცენტიანი გარანტია არ გააჩნია, ისევ ძველ ალაგას რჩება.

1993 წლის იანვარში არგენტინის მაშინდელმა პრეზიდენტმა კარლოს მენემმა ემილიო ნარვაეს ჩავესს სასჯელი შეუმსუბუქა. ხსენებული ინჩასი ადრე „ლა ბონბონერაზე“ მკვლელობისთვის გაასამართლეს და სიკვდილით დასჯაც მიუსაჯეს, თუმცა ქვეყნის თავკაცმა ეს მრავალწლიანი პატიმრობით შეუცვალა.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში კლუბთა მეომარ დაჯგუფებებს საზოგადოებრივ აზრზე დიდი გავლენა აქვთ და პოლიტიკოსები ხალხის საამებლად სხვადასხვა, ფსევდოჰუმანურ აქციებს მართავენ.

მშობლიურ და სათაყვანო „ალბისელესტეს“ კი ყველა გაშმაგებით ქომაგობს. საკუთარი ნაკრები ყველა ქვეყანაში უყვართ, თუმცა არგენტინაში ეროვნული გუნდით გამიჯნურება რელიგიური ფანატიზმის ტოლია. „ალბისელესტეს“ ფანატთა ფენომენი მსოფლიოში უნიკალური მოვლენაა.

**ლადო ხომერიკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტუტოსპორტმა თქვა — ბუფონი!

**გაზეთ** „ტუტოსპორტის“ ცნობით, „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთს“ წლეულს ჯანლუიჯი ბუფონი მოიგებს. შეგახსენებთ, რომ შარშანაც წინასწარ გავრცელდა ჭორები, ამ ჯილდოს რონალდინიო მოიხვეჭსო და გამართლდა კიდეც.

თუ ტურინული გაზეთის ვარაუდი გამართლდა, „ოქროს ბურთის“ ისტორიაში ბუფონი გახდება მეორე მეკარე, მათ შორის, ვისაც ეს პრესტიჟული ჯილდო მოუპოვებია ლეგენდარული ლევ იაშინის შემდეგ. სტაჟიან გულშემატკივრებს გეხსომებათ, იაშინი „ფრანს ფუტბოლმა“ საუკეთესოდ 1963 წელს დაასახელა.

ევროპელმა ჟურნალისტებმა ხმის მიცემა 6 ნოემბერს დაასრულეს. „ფრანს ფუტბოლი“ შედეგებს კი 27 ნოემბერს პარიზში გამოაცხადებს, თუმც „ტუტოსპორტი“ უკვე გვამცნობს, რომ გამარჯვებული ბუფონი, მასთან ერთად სამეულში კი ფაბიო კანავარო და ტიერი ანრი იქნებიან. ამ შემთხვევაში „იუვენტუსის“ მეკარე ომარ სივორის, ჯანი რივერას, პაოლო როსისა და რობერტო ბაჯოს შემდეგ მეხუთე იტალიელი იქნება, ვინც „ოქროს ბურთს“ მოიპოვებს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში არაერთმა ცნობილმა პიროვნებამ განაცხადა, „ოქროს ბურთს“ ბუფონი იმსახურებსო, მათ შორის ზემოხსენებულმა რივერამ და მიშელ პლატინიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

# მეთოდები დაბიძველდა, ფრანკ რაიკარდი ბიჭებს მასხრად იგდებს



**2003 წლის** დეკემბერში, „ბარსელონაში“ მისვლიდან სამი თვის შემდეგ, ფრანკ რაიკარდის კლუბში დარჩენის ამბავი ბეწვზე ეკიდა. კატალონიური გრანდის მიზანი მაშინ ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება იყო, მაგრამ რადგან „ბარსა“ რაიკარდის მწვრთნელობის პირველ პერიოდში საოცრად სუსტად თამაშობდა, პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ ჰოლანდიელს კინაღამ კარისკენ მიუთითა. მერე კი პატარა სასწაული მოხდა, იქამდე „მძინარე“ „ბარსამ“ ჩემპიონატის მეორე წრეში თითმის ყველა თამაში მოიგო და რაიკარდიც „კამპ ნოუზე“ დატოვეს.

შემდეგ რაც მოხდა, ყველამ იცით — მომდევნო წელს „ბარსელონა“ სამუელ ეტოოს ტრანსფერმა გააძლიერა და ჯილდოებმაც აღარ დააყოვნა. ასე გრძელდებოდა დღემდე... ვიდრე კატალონიური ფლაგმანი, ძირითადად მწვრთნელის შეცდომების გამო, ციდან კვლავ მიწაზე არ დაეშვა. ესპანური სპორტული მედიის აზრით, „ბარსელონაში“ როტაციების პრინციპმა არ გაამართლა.

„წლეულს ჩვენი მიზანია, რომ სათამაშო წუთებით ყველა ფეხბურთელი კმაყოფილი დარჩეს“ — ხალისიანად აცხადებდა პრესკონფერენციებზე რაიკარდი სეზონის დასაწყისში. ამან სასურველი შედეგი ვერ კი მოიტანა. კრიზისმა თავი განსაკუთრებით დაცვაში იჩინა, სადაც ჰოლანდიელმა ცვლილებების მთელი კარუსელი დაატრიალა. გუნდის დაბნეული ინჩასები თითქმის ყოველ თამაშში დაცვაში სხვადასხვა ფეხბურთელებს ხედავდნენ.

„გუნდის მერყევი თამაშით გაღიზიანებულ რაიკარდს ხასიათიც შეეცვალა. მწვრთნელი თავს ველარ იკავებს. „ბარსელონა“-„ჩელსის“ მატჩის შემდეგ მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ხოლო გუნდის ამასწინანდელ ვარჯიშზე ფეხბურთელებს მცირე მიზეზის გამო მოედანზე სამჯერ დაარტყმევინა წრე. ედმილსონს და სხვებს უთქვამთ, ბავშვები ხომ არ ვართ, რას გვამასხარავებსო...

„ფრანკ რაიკარდმა „ბარსელონაში“ დისციპლინა ხელახლა უნდა განამტკიცოს“ — ვკითხულობთ გუშინდელ „ასში“.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

**11 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:45 | 1 | სიტი-ნიუკასლი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 2 | მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 19:00 | 3 | პორტსმუთი-ფულემი | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 21:15 | 5 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 6.00 | 3.40 | 1.60 | 2.17 | 1.26 | 1.08 |
| 19:00 | 7 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1.95 | 3.20 | 3.90 | 1.21 | 1.29 | 1.75 |
| 19:00 | 8 | შეფილდი-ბოლტონი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 19:00 | 10 | ჩელსი-უოტფორდი | 1.14 | 6.50 | 16.00 | 1.00 | 1.06 | 4.62 |
| 19:00 | 12 | უიგანი-ჩარლტონი | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 13 | რედინგი-ტოტენჰემი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 20:00 | 14 | არსენალი-ლივერპული | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**11 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 28 | დანდი იუნ.-კილმარნოკი | 2.60 | 3.10 | 2.50 | 1.41 | 1.27 | 1.38 |
| 19:00 | 29 | ჰიბერნიანი-ინვერნესი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 32 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 19:00 | 34 | აბერდინი-მოზერუელი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 35 | სტ.მირენი-სელტიკი | 8.00 | 4.20 | 1.35 | 2.75 | 1.15 | 1.02 |

**13 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 30 | ფოლკირკი-ჰართსი | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 55 | არმინია-ჰერტა | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 23:00 | 57 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 23:00 | 58 | ბაიერნი-ჰანოვერი 0:1 | 1.65 | 3.80 | 4.00 | | | |
| 23:00 | 59 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| 23:00 | 61 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2.80 | 3.10 | 2.45 | 1.47 | 1.30 | 1.36 |
| 23:00 | 62 | კოტბუსი -აინტრახტი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 70 | კარლ ცაისი-ფიურტი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 20:30 | 71 | ოფენბახი-დუისბურგი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 20:30 | 72 | აუგსბურგი-ფრაიბურგი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 20:30 | 73 | ლაუტერნი-ბურგჰაუზენი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 20:30 | 74 | კიოლნი-აუე | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 84 | ჰამბურგი(მ)-ალენი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 17:00 | 85 | ვერდერი(მ)-დორტმუნდი(მ) | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 22:30 | 86 | ვილჰელმშავენი-დინამო | 3.00 | 3.30 | 2.05 | 1.57 | 1.21 | 1.26 |
| 22:30 | 87 | ზტ.პაული-ოსნაბრიუკი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 22:30 | 88 | კილი-მიონხენგლადბახი(მ) | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 22:30 | 89 | ლევერკუზენი(მ)-ერფურტი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 22:30 | 90 | უნ ბერლინი-მაგდებურგი | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 20:30 | 91 | ჰერტა(მ)-ვუპერტალი | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 105 | კიკერსი-ჰესენი | 1.85 | 3.40 | 3.45 | 1.19 | 1.20 | 1.71 |
| 22:00 | 106 | ვეენი-მიუნხენი1860(მ) | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 22:00 | 107 | ფულენდორფი-ლაუტერნი(მ) | 1.75 | 3.40 | 3.85 | 1.15 | 1.20 | 1.80 |
| 22:00 | 108 | პირმასენსი-ჰოფენჰაიმი | 5.50 | 3.70 | 1.45 | 2.21 | 1.14 | 1.04 |
| 22:30 | 109 | დარმშტადი-შტუტგარტი(მ) | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 120 | ალტახი-რიდი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 22:30 | 121 | აუსტრია-შტურმი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 22:30 | 122 | გრაცერი-რაპიდი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 22:30 | 123 | პაშინგი-ტიროლი | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 136 | შაფჰაუზენი-თუნი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 22:45 | 137 | ლუცერნი-გრასჰოპერი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 138 | ბაზელი-იანგ ბოიზი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |

### იტალია. სერია A

**11 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 139 | ფიორენტინა-ატალანტა | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| 23:30 | 141 | მილანი-რომა | 1.90 | 3.10 | 3.50 | 1.17 | 1.23 | 1.64 |

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 142 | ლაციო-უდინეზე | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 18:00 | 144 | ასკოლი-ემპოლი | 2.50 | 2.80 | 3.00 | 1.32 | 1.36 | 1.44 |
| 18:00 | 145 | კატანია-ლივორნო | 2.40 | 2.80 | 3.10 | 1.29 | 1.35 | 1.47 |
| 18:00 | 146 | მესინა-კალიარი | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 18:00 | 147 | პალერმო-ტორინო | 1.45 | 3.70 | 7.50 | 1.04 | 1.21 | 2.47 |
| 18:00 | 148 | სამპდორია-კიევო | 1.80 | 2.90 | 5.10 | 1.11 | 1.33 | 1.84 |
| 18:00 | 149 | სიენა-რეჯინა | 2.00 | 2.90 | 3.80 | 1.18 | 1.31 | 1.64 |
| 23:30 | 150 | პარმა-ინტერი | 6.00 | 3.60 | 1.50 | 2.25 | 1.20 | 1.05 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**11 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 184 | ატლეტიკო-ვილიარეალი | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 23:45 | 186 | ვალენსია-ბილბაო | 1.43 | 3.90 | 7.00 | 1.04 | 1.18 | 2.50 |

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 181 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 20:00 | 183 | სელტა-უელვა | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 20:00 | 185 | ბეტისი-ლევანტე | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 20:00 | 187 | ხეტაფე-მალიორკა | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 20:00 | 188 | ტარაგონა-დეპორტივო | 3.10 | 3.00 | 2.25 | 1.52 | 1.30 | 1.28 |
| 22:00 | 189 | ოსასუნა-რეალი | 4.70 | 3.40 | 1.70 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| 20:00 | 191 | რასინგი-სევილია | 3.50 | 3.10 | 2.05 | 1.64 | 1.29 | 1.23 |
| 20:00 | 192 | სოსიედადი-ესპანიოლი | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

**10 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 204 | ლიონი-ვალენსიენი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |

**11 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 206 | ბორდო-ოსერი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 23:00 | 208 | ლე მანი-პსჟ | 2.50 | 2.90 | 2.80 | 1.34 | 1.32 | 1.42 |
| 23:00 | 209 | ლანსი-რენი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 23:00 | 211 | ლორიანი-ნანსი | 2.70 | 2.90 | 2.70 | 1.39 | 1.35 | 1.39 |
| 23:00 | 212 | ნანტი-სტ.ეტიენი | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 23:00 | 213 | ნიცა-სოშო | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 23:00 | 214 | ტულუზი-სედანი | 1.65 | 3.20 | 5.20 | 1.08 | 1.25 | 1.98 |

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 215 | ტრუა-მონაკო | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 23:45 | 216 | ლილი-მარსელი | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |

### რუსეთი

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 291 | დინამო-მოსკოვი | 2.80 | 3.00 | 2.35 | 1.44 | 1.27 | 1.31 |
| 20:00 | 294 | სატურნი-სპარტაკი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| 17:00 | 295 | ამკარი-ნალჩიკი | 1.75 | 3.20 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 19:00 | 296 | შინიკი-რუბინი | 5.00 | 3.70 | 1.55 | 2.12 | 1.18 | 1.09 |
| 19:30 | 297 | ტორპედო-ზენიტი | 5.00 | 3.70 | 1.55 | 2.12 | 1.18 | 1.09 |
| 19:00 | 298 | ტომსკი-ლოკომოტივი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |

### ხორვატია

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 323 | სლავენი-შიბენიკი | 1.85 | 3.20 | 3.45 | 1.17 | 1.20 | 1.66 |
| 19:00 | 324 | ვარტეკსი-ციბალია | 1.50 | 3.40 | 5.80 | 1.04 | 1.19 | 2.14 |
| 19:00 | 325 | დინამო-პულა | 1.20 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.36 |
| 19:00 | 326 | ოსიეკი-მედიმური | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 327 | ჰაიდუკი-კამენი | 1.15 | 5.80 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.79 |
| 23:15 | 328 | რიეკა-ზაგრები | 1.70 | 3.30 | 4.00 | 1.12 | 1.19 | 1.80 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 556 | ბანფილდი-რასინგი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 387 | სან კაეტანო-ფიგეირენსე | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 23:45 | 388 | ჟუვენტუდი-გრემიო | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 23:45 | 389 | ატლეტიკო პრ-კორინთიანსი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 390 | ვასკუ და გამა-პარანა | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 23:45 | 391 | პალმეირასი-ფორტალესა | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 23:45 | 392 | გოიასი-ფლამენგო | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 23:45 | 393 | ინტერნასიონალი-სანტოსი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 394 | სანტა კრუზი-კრუზეირო | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 23:45 | 395 | ფლუმინენსე-პონტე პრეტა | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 23:45 | 396 | სან პაულუ-ბოტაფოგო | 1.30 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.69 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 552 | ბირმინგემი-ლივერპული | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 23:45 | 553 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 23:45 | 554 | ევერტონი-არსენალი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 23:45 | 555 | ტოტენჰემი-პორტ ვეილი | 1.22 | 5.40 | 11.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 417 | ჰიბერნიანი-ჰართსი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 23:45 | 419 | რეინჯერსი-სტ.ჯონსტონი | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 437 | სოსიედადი-მალაგა | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 23:30 | 438 | ტარაგონა-ვალიადოლიდი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 23:45 | 439 | სარაგოსა-ჰერკულესი | 1.27 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.11 | 3.00 |
| 23:00 | 442 | ვილიარეალი-კასტელონი | 1.28 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.11 | 2.94 |
| 22:00 | 443 | ხეტაფე-სერესი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 23:45 | 444 | ბარსელონა-ბადალონა | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| 23:45 | 445 | რასინგი-დეპორტივო | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 23:45 | 446 | ესპანიოლი-რაიო | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 23:45 | 448 | ბეტისი-უელვა | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 449 | ოსასუნა-პენა | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 23:45 | 450 | ვალენსია-პორტუენსე | 1.12 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.53 |
| 23:45 | 451 | სევილია-სეგოვია | 1.12 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.53 |
| 23:45 | 452 | მალიორკა-ბილბაო | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 441 | რეალი-ეჩიხა | 1.05 | 8.00 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.53 |
| 23:45 | 447 | სელტა-ალავესი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 458 | ტვენტე-ნაიმეგენი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 23:45 | 459 | ვალვაიკი-ფეიენოორდი | 3.90 | 3.30 | 1.75 | 1.78 | 1.20 | 1.14 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 460 | ვიტესი-პსვ | 5.20 | 3.50 | 1.50 | 2.09 | | |
| 23:00 | 461 | ჰაარლემი-დენ ბოსხი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | [illegible] | [illegible] |
| 23:45 | 462 | აიაქსი-დენ ჰააგი | 1.15 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.91 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 467 | კაისერი-ერზიესი | 1.65 | 3.50 | 4.35 | 1.12 | 1.19 | 1.93 |
| 16:00 | 468 | გენჩლერბირლიგი-ანკარაგუჩუ | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 469 | კონია-მანისა | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 471 | ორჰუსი-რანდერსი | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| 22:00 | 472 | ოდენსე-ბრიონდბიუ | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:00 | 473 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 22:00 | 474 | ფრედერისია-ჰორსენსი | 3.00 | 3.30 | 2.20 | 1.57 | 1.26 | 1.32 |
| 22:00 | 475 | ლიუნგბიუ-კოლდინგი | 1.50 | 3.90 | 5.00 | 1.08 | 1.15 | 2.19 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 557 | რუსენბორგი-ბრანი | 1.75 | 3.40 | 4.40 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 558 | ელფსბორგი-აიკ | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 673 | ორტეზი-ცსკა | 3.10 | 12.00 | 1.25 | 2.46 | 1.00 | 1.13 |
| 23:45 | 674 | ხუვენტუდი-პარტიზანი | 1.22 | 12.00 | 3.20 | 1.10 | 1.00 | 2.52 |
| 23:45 | 675 | ნაპოლი-არისი | 1.30 | 12.00 | 2.80 | 1.17 | 1.00 | 2.27 |
| 23:45 | 676 | ოლიმპია-პანათინაიკოსი | 3.10 | 12.00 | 1.25 | 2.46 | 1.00 | 1.13 |
| 23:45 | 677 | ბენეტონი-ულქერი | 1.25 | 12.00 | 3.00 | 1.13 | 1.00 | 2.40 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:15 | 678 | დინამო მ-ბოლონია | 1.25 | 12.00 | 3.20 | 1.13 | 1.00 | 2.52 |
| 22:15 | 679 | ეფესი-ლე მანი | 1.20 | 12.00 | 3.60 | 1.09 | 1.00 | 2.76 |
| 22:45 | 680 | მაკაბი-რომა | 1.20 | 12.00 | 3.60 | 1.09 | 1.00 | 2.76 |
| 22:45 | 681 | ჟალგირისი-ბარსელონა | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| 22:45 | 682 | ოლიმპიაკოსი-პროკომი | 1.04 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |
| 21:15 | 683 | ციბონა-მალაგა | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 430 | სამპდორია-პალერმო | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 23:30 | 431 | ემპოლი-ჯენოა | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 16:30 | 432 | რეჯინა-კიევო | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 23:30 | 433 | მილანი-ბრეშა | 1.20 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.52 |
| 23:30 | 434 | არეცო-ლივორნო | 4.00 | 3.00 | 1.95 | 1.71 | 1.31 | 1.18 |
| 23:30 | 436 | ტრიესტინა-რომა | 5.00 | 3.20 | 1.70 | 1.95 | 1.26 | 1.11 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 429 | მესინა-ინტერი | 4.30 | 3.20 | 1.80 | 1.83 | 1.26 | 1.15 |
| 23:45 | 435 | ნაპოლი-პარმა | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10055 | არმინია-ჰერტა | 2.90 | 2.00 | 3.20 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10057 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.45 | 3.00 | 10.00 | 1.00 | 1.26 | 2.30 |
| 10059 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3.45 | 2.00 | 2.85 | 1.26 | 1.56 | 1.17 |
| 10061 | მიონხენგლადბახი-შალკე | 3.30 | 2.00 | 2.95 | 1.24 | 1.55 | 1.19 |
| 10062 | კოტბუსი-აინტრახტი | 2.50 | 2.10 | 3.90 | 1.14 | 1.52 | 1.36 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11055 | არმინია-ჰერტა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11057 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11059 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11061 | მიონხენგლადბახი-შალკე | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11062 | კოტბუსი -აინტრახტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | მეტ. | ნაკ. |
|---|---|---|---|
| 12055 | არმინია-ჰერტა | 1.90 | 1.70 |
| 12057 | ბაიერნი-ჰანოვერი | 2.20 | 1.55 |
| 12059 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 2.00 | 1.60 |
| 12061 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12062 | კოტბუსი-აინტრახტი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13055 | არმინია-ჰერტა | 1.55 | 2.20 |
| 13057 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 13059 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 1.50 | 2.20 |
| 13061 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1.55 | 2.20 |
| 13062 | კოტბუსი-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14055 | არმინია-ჰერტა | 1.80 | 1.90 |
| 14057 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.04 | 2.90 |
| 14059 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 2.00 | 1.80 |
| 14061 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1.90 | 1.80 |
| 14062 | კოტბუსი-აინტრახტი | 1.70 | 2.10 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15055 | არმინია-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | ბაიერნი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15059 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15061 | მიონხენგლადბახი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15062 | კოტბუსი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16055 | არმინია-ჰერტა | 1.70 | 2.00 |
| 16059 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 2.10 | 1.65 |
| 16061 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2.00 | 1.70 |
| 16062 | კოტბუსი-აინტრახტი | 1.52 | 2.40 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17055 | არმინია-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17059 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17062 | კოტბუსი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |

ძიუდო



შოთა ხაბარელი ბორჯომის დარბაზს ფრანგებთან ერთად ეწვევა

# ძიუდოისტები ფრანგებს ელიან

**ძიუდოისტებს** წლის ბოლომდე ორი ტურნირიღა რჩებათ. 9-10 დეკემბერს მძიმეწონოსნები ბუქარესტის ტატამზე, ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატზე იჭიდავებენ, სეზონს კი 16-17-ში საქართველოს ჩემპიონატი დააგვირგვინებს. მომავალი წლიდან უკვე ოლიმპიური ლიცენზიების გათამაშება დაიწყება და შესაბამისად, განსაკუთრებით მძიმე სეზონი გამოვა. ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელიც აქედანვე იჭერს თადარიგს.

„27 ნოემბერს თბილისში საფრანგეთის ნაკრები ჩამოვა. იმავე დღეს ბორჯომში გავემგზავრებით და 9-დღიან ერთობლივ შეკრებას ჩავატარებთ — გვაცნობა გუშინ ხაბარელმა — ფრანგებს უძლიერესი გუნდი ჰყავთ და მათ გვერდით ვარჯიში ბიჭებს აუცილებლად სასიკეთოდ წაადგებათ. თან რაც მთავარია, საუკეთესო შემადგენლობა მოჰყავთ, ჩვენ კი შეკრებაზე დაახლოებით ორმოც ძიუდოისტს ვიახლებთ."

ნაკრების წევრთაგან ბორჯომულ წვრთნებს მხოლოდ დავით ქევხიშვილი დააკლდება. იგი მენისკის ოპერაციის შემდეგ ჯერაც სარეაბილიტაციო კურსს გადის და, სავარაუდოდ, დეკემბრამდე ვერ ივარჯიშებს.

**ოთარ გაღლაძელიძე**

ჭიდაობა

# თურქული ნერტილი

## კადეტები მედლებით გაიზარდნენ

**თავისუფალი** და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებებმა საამსეზონო ყულაბას თორმეტი მედალი შემატეს. გასულ უქმეებზე სტამბოლში, „გალათასარაის" ბაზაზე ჩატარებულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ნუგზარ სხირელის და ვლადიმერ ადეიშვილის გუნდებმა ხვავიანად იჭიდავეს. თავისუფლებმა თურქეთში თერთმეტი მოჭიდავე ჩაიყვანეს და ექვსმა კვარცხლბეკზე ასვლაც შეძლო. მძიმეწონოსანი გიორგი ნიკურაძე ჩემპიონი გახდა, თენგიზ ჩოჩიშვილმა (55 კგ), მარად ზოიძემ (74 კგ) და ბექა ჭელიძემ (84 კგ) ფინალები დათმეს, ვლადიმერ ხინჩიგაშვილი (50 კგ) და გიორგი ბარჯაძე (120 კგ) კი მესამეზე გავიდნენ.

კლასიკოსებმა სულაც ცხრაკაციანი გუნდით შეძლეს ექვსი მედლის აღება, ოღონდ ოქროს ვერც ერთი მათგანი ვერ შესწვდა. პაატა ბაკურიძე (60 კგ) და გენადი ხელაია (96 კგ) ფინალში დამარცხდნენ. არჩილ თურმანიძემ (55 კგ), გური კვერღელიძემ (66 კგ), ვლადიმერ ქარჩავამ (96 კგ) და დიმიტრი ჯავახიშვილმა (120 კგ) კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

საგულისხმოა, რომ ახალგაზრდული ნაკრებები სტამბოლურ ტურნირზე გადახალისებული შემადგენლობებით გამოვიდნენ. მწვრთნელებმა ძირითადად ის ახალბედები გამოცადეს, აქამდე კადეტთა ტურნირებში რომ მონაწილეობდნენ.

**ოთარ გაღლაძელიძე**



კალათბურთი

# ავიამშენი ასაშენებელია

## მოსეშვილმა ტარაკანოვი შეიგულა

გასულ შაბათს ჩემპიონობის ორი ყველაზე რეალური კანდიდატი შეხვდა ერთმანეთს, მაგრამ რუსთავის „აზოტმა" ისე იოლად მოუგო „თბილავიამშენს", რომ გულშემატკივარი ხომ იმედგაცრუებული დარჩა და თბილისელთა თავკაც ლევან მოსეშვილსაც არაერთი საფიქრალი გაუჩნდა. ქვემოქართლელებმა პირწმინდად დაჩაგრეს „ავიატორები" და ბევრს აფიქრებინეს, რომ ეროვნულ ჩემპიონატს დაძაბულობის მუხტი მოაკლდა — თუკი „აზოტმა" „ავიამშენს" ესეთი დღე დააწია, დანარჩენ გუნდებს რას უზავს, ვინღაა მისი გამჩერებელიო. „ავიამშენი" მომავალ ტურში კიდევ ერთ ღონიერ კლუბ თსუ-ს ხვდება და თუკი მასთანაც დამარცხდა, ლევან მოსეშვილი განგაშის ზარს ჩამოჰკრავს...



ლევან მოსეშვილს საფიქრალი მოეძალა

— „აზოტმა" ყველა ფრონტზე გაგვჯობა. კი ვფიქრობდი, რომ რუსთაველები ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ მთლად ასე იოლად თუ მოგვიგებდნენ, ვერ წარმომედგინა.

**— რატომ თვლიდით „აზოტს" ფავორიტად? თითქოსდა შემადგენლობით არ ჩამოუვარდებით...**

— ამ ეტაპზე რუსთაველები მომზადების დონით გვჯობნიან, თანაც მიმაჩნია, რომ მათ ჩვენზე გაცილებით დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავთ — ყველა პოზიციაზე მინიმუმ ორ-ორი ძლიერი მოთამაშეა, ჩვენ კი მე-3 ნომერი, ფრთა ფაქტობრივად არ გვყავს. „აზოტის" მოთამაშეთა უმრავლესობამ ამ ზაფხულში დიდი გამოცდილება მიიღო. ნაწილი ახალგაზრდულ ნაკრებში იყო, ნაწილი — ეროვნულში, ლაშა გამყრელიძემ კი ორივეგან ითამაშა. ამ დროს „ავიამშენის" წევრები შვებულებაში იყვნენ. თანაც რუსთაველებმა ორი შეკრება გაიარეს, რომლის დროსაც ფიზიკურად ხომ მომძლავრდნენ და თან სპარინგმატჩებიც გამართეს.

**— მხოლოდ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ასე უიმედოდ დამარცხდით?**

— მხოლოდ ეს არა, მაგრამ მოზადებაზეც ბევრია დამოკიდებული. ისე კი, იყო მარცხის კონკრეტული მიზეზები. თავიდან არა გვიშავდა, მაგრამ ჩვენმა მოთამაშეებმა დაუფიქრებელი და მოუმზადებელი სროლები წამოიწყეს, ასხლეტილ ბურთებს კი მეტოქე ხსნიდა და კონტრშეტევებს იწყებდა. ამ სროლების ბრალი იყო, რომ მეტოქეს საბოლოოდ 20 მოხსნით მეტი დაუგროვდა.

**— წაგებას რა გამოხმაურება მოჰყვა გუნდის ხელმძღვანელობისგან?**

— რა თქმა უნდა, არავის ესიამოვნა, რომ წავაგეთ, მაგრამ ტრაგედია არ შეუქმნიათ. ცხადია, შევხვდით გუნდის მეპატრონეებს, რომლებსაც ყველაფერი ავუხსენით. ასეთი ჩავარდები ხდება ხოლმე. თუნდაც ნბა-ში არ იყო გასულ კვირაში, ჩემპიონმა „მაიამიმ" შინ რომ დიდი ანგარიშით წააგო?! გასულ სეზონში „ავიამშენი" სულ მდევრის როლში იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩემპიონი გახდა.

**— ესე იგი, ფიქრობთ, რომ საგანგაშო არაფერია?**

— ჯერჯერობით არაფერი. ჩვენი გუნდი ახალი შეკრებილია და შეთამაშება სჭირდება. ოპტიმალური შემადგენლობა ჯერაც დასაკომპლექტებელია, დამწყები ხუთეული კი — უცნობი. დაცვაში ძალიან ბევრი გვაქვს დასახვეწი, ისევე როგორც დანარჩენ კომპონენტებში.

**— დუდუ დადიანის მემორიალს ფინალში „აზოტთან" დიდი სხვაობით აგებდით და როცა მოედანზე ერთმანეთს ტყუპი ბერიშვილები შეუწყვილეთ, ჩამორჩენა მნიშვნელოვნად შეამცირეთ. „აზოტთან" ბოლო შეხვედრაში იგივე ხერხს რატომ არ მიმართეთ?**

— დადიანის თასის ფინალში ბერიშვილებთან ერთად მოედანზე კიდევ ერთი უკანახაზელი იმყოფებოდა. საერთოდ, როცა 3 [illegible] და 2 მეფარით ვთამაშობთ, სისწრაფეს კი ვიგებთ, მაგრამ წინა ხაზი გვისუსტდება. თუკი ფარს გავამაგრებთ, მერე უკანა ხაზში [illegible]. ამიტომაც საჭიროა კარგი მე-3 ნომერი, რომელმაც წინა და უკანა ხაზი უნდა შეაკავშიროს.

**— ჰოდა, არ აპირებთ გაძლიერებას?**

— მხოლოდ სურვილზე რომ იყოს, აუცილებლად დავიმატებდით ძლიერ მოთამაშეს, მაგრამ ამას ფინანსები სჭირდება. თუ თსუ-სთანაც წავაგეთ, მერე უკვე რადიკალურ ზომების მიღება მოგვიწევს. თავისუფალიც არავინაა, რომ დავიმატოთ და ალბათ უცხოეთში წასულ ჩვენიანს ჩამოვიყვანთ, თუ უფროსობამ გუნდის გასაძლიერებლად დამატებითი თანხა გამოყო.

**— ლეგიონერის ჩამოყვანა გამორიცხულია?**

— არა და საამისოდ თადარიგი დავიჭირეთ. სერგეი ტარაკანოვი, რომელიც ამჟამად ტრანსფერებზე მუშაობს, საქმის კურსშია და თუკი ჩვენ მოვინდომეთ, აუცილებლად გამოგვინახავს ხეირიან მოთამაშეს.

**ირაკლი პერტაია**

# სუპერლიგა ბინას იცვლის, ეროვნული კი შინ ბრუნდება

**ეს წრე** ჩამთავრდება და სუპერლიგა ბინას იცვლის — სპორტის სასახლიდან ძველ ნავსაყუდელ ვერის ბაღის დარბაზს დაუბრუნდება. ზოგადად, სუპერლიგისთვის ერთი სარბიელიც ახალია და მეორეც, რაკი ახლახან შეიქმნა, ხოლო საქართველოს ჩემპიონატს რომ არსებობის უმეტესი წლები ვერის ბაღში გაუტარებია, ეს ყველას კარგად მოეხსენება.

იცოცხლეთ, კარგია სპორტის სასახლის დიდ დარბაზში თამაში, მაგრამ ამას, ჯერ ერთი, დიდი ფული სჭირდება, თანაც ტრიბუნებსაც ხომ შევსება უნდა. ცოდვას ვერ ვიტყვით და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ბოლო დროს მაყურებელმა შესამჩნევად იმატა, მაგრამ სპორტის სასახლის ათიათასიან ტრიბუნებზე მაინც ხალვათობა იგრძნობა.

რაც ბოლო ცენტრალურ მატჩებს ხალხი დაესწრო, ვერის ბაღის დარბაზს პირთამდე შეავსებდა, ჰოდა, სუპერლიგის ბინის გამოცვლაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ჩემპიონატი თავიდანვე ვერის ბაღში დაიწყებოდა, დარბაზში კალათბურთის სათამაშოდ შეუფერებელი ატმოსფერო რომ არ ყოფილიყო. წყალი ჩამოდიოდა, ტაბლო არ მუშაობდა, ფიცარნაგზე ფეხი სრიალებდა, საშხაპეებში ანტიდეზინფექციური გარემო სუფევდა.

ვერის ბაღის დარბაზის რეკონსტრუქცია ჯერაც მიმდინარეობს და სანამ ყველაფერი არ მოწესრიგდება, სუპერლიგელები იქ ფეხს არ შედგამენ, ეს კი დაახლოებით ნოემბრის ბოლომდე არ მოხდება. როგორც კალათბურთის ფედერაციაში გეგმავენ, სუპერლიგა მეორე წრეს 24 ნოემბერს ვერის ბაღში დაიწყებს.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



დონ ნელსონი (მარჯვნივ) დალასში გამარჯვებით დაბრუნდა

## ოდისევსის დაბრუნება

### ამ სახლში ისევ მე ვარ ბატონი!

6 ნოემბერი

**დალასი 104:107 გოლდენ სტეიტი**

**დალასი:** ნოვიცკი (26 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), ჰარისი (17), ტერი (15), ჰოვარდი (13), ბაკნერი (13)

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (26 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), რიჩარდსონი (22), მერფი (20), ელისი (16)

ალარ იცნობა „დალას მავერიკსი“. ტეხასური სუპერგუნდი რამდენადაც სხარტი და ფოკუსირებული იყო წინა სეზონში, ახლა იმდენად დუნე და გონებაგაფანტული ჩანს. მესამე თამაში, მესამე მარცხი! 1993 წლის შემდეგ „მავერიკსს“ ასე უხეიროდ არ დაუწყია რეგულარული ჩემპიონატი. კიდევ ერთი წაგება და ეს საჩემპიონო გუნდი შიდასაკლუბო ანტირეკორდს გამოჰკრავს ხელს.

„არა უშავს, წინ კიდევ 79 თამაშია“ — ამბობს დალასელი გრეგ ბაკნერი. ბარაქალა! თუ ყველა მისიანი ასე ნათელ ფერებში ხედავს კლუბის ახლო მომავალს და შემდეგი შეხვედრებისთვის გადადებს გამარჯვებას, ესანტირეკორდიც არ დააზანებს.

არადა, „მავერიკსს“ ჩემპიონობა უნდოდა... და უნდა კიდეც!

ტეხასელებმა მესამე თამაში საკუთარ გულშემატკივრის თვალწინ ვინმე ძლიერთან კი არა, „გოლდენ სტეიტთან“ წააგეს, გუნდთან, რომელიც 1994 წლის შემდეგ პლეიოფი არ ლირსებია. „გოლდენ სტეიტს“ ადრე დონ ნელსონი წვრთნიდა და ახლაც წვრთნის, შუალედში კი ეს ლვაწლმოსილი სპეციალისტი სწორედ „დალასში“ მუშაობდა და ამ კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ მწვრთნელადაც ჩაეწერა. ეგაა, წლინახევრის წინ უთხრეს, ბებერი ხარ, გზა ახალგაზრდებს უნდა დაუთმოო და მის სკამზე აივერი ჯონსონი დასვეს. ჯონსონი კარგი მწვრთნელი კი გამოდგა, მაგრამ...

6 ნოემბრის დალასური საღამო დონ ნელსონისა გამოდგა. ადრე რომ გაუშვეს, „მავერიკსის“ მფლობელმა მარკ კუბანმა მას კუთვნილი ხელფასი ალარ მისცა (6 მილიონამდე) და ამიტომაც მატჩის დაწყებამდე ნელსონთან შეხვედრის არავითარი ოფიციალური მხარე არ ყოფილა, თუმცა 20 ათასმა დალასელმა მას თბილი დახვედრა მოუწყო. „66 წლის ასაკში კაცს ასეთი რამის გამო თვალზე ცრემლი არ მოგადგება, მაგრამ მაინც აქაურების მადლობელი ვარ“ — ამბობს „დონ ნელი“.

მერე კი თამაში დაიწყო და „მავერიკსი“ სწრაფადვე დაწინაურდა — . პირველი მეოთხედის მერე 34:27, მაგრამ ნელსონის ახალმა შეგირდებმა ძველებს თანდათან დაათმობინეს სათამაშო უპირატესობა, მესამე მეოთხედში წინ გავიდნენ და მთელი მეორე ტაიმი მდევრად ამყოფეს. სხვაობა არც ისე დიდი იყო, დირკ ნოვიცკის და მისიანებს შეხვედრა წაგებულად რომ ჩაეთვალათ და ფარ-ხმალი დაეყარათ, მაგრამ „გოლდენ სტეიტი“ ბოლომდე მწყობრი და გააზრებული შეტევებით აწვალებდა „დალასის“ დაცვას და საფინალო სირენამდე ორნახევარი წუთით ადრე 107:97 დაწინაურდა. მასპინძლებმა იმდენი მოახერხეს, ორ წუთში 7 ქულა გაქვითეს და ბურთი ბოლო წამებზეც მათ ჰქონდათ, მაგრამ სანამ 3-ქულიან სროლას მოამზადებდნენ, დროც ამოიწურა.

ესეც სათქმელია, რომ „დალასის“ მწვრთნელს აივერი ჯონსონს და ერთ-ერთ ლიდერ ჯეისონ ტერის მსაჯებმა „ზედმეტი აქტიურობისთვის“ ვადაზე ადრე დაატოვებინეს მოედანი და მისი მისადგომები და გუნდს თამაში ჯონსონის ასისტენტმა დელ ჰარისმა ჩამთავრებინა. ჰარისი ჯონსონის დარად, „დალასში“ ნელსონის მიყვანილია.

„ვერც კი წარმოვიდგენდი, დღეს რომ მოვიგებდით — ამბობდა დონ ნელი ნამატჩევს — ასეთი კარგი გუნდის სეზონის ამ ეტაპზე მისსავე სახლში დამარცხება შეუძლებლად მეჩვენებოდა, მაგრამ ვცდებოდი.“

## ბიგ ბენი ახლა ჩიკაგოში რეკავს

6 ნოემბერი

**იუტა 103:101 დეტროიტი**

**იუტა:** ოქური (23 ქულა, 10 მოხსნა), ბუზერი (20 ქულა, 11 მოხსნა), უილიამსი (14), გირიჩეკი (13)

**დეტროიტი:** ვოლესი (25 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება), მიურეი (15), ჰამილტონი (13)

**ნიუ იორკი 93:105 სან ანტონიო**

**ნიუ იორკი:** მარბერი (18), რობინსონი (15), რიჩარდსონი (14), კარი (13 ქულა, 11 მოხსნა)

**სან ანტონიო:** პარკერი (24 ქულა, 10 პასი), ბერი (19), ჯინობილი (15), დანკანი (15)

**ორლანდო 106:103 ვაშინგტონი**

**ორლანდო:** აროიო (23), თურქოლლუ (18), დულინგი (15)

**ვაშინგტონი:** ჯემისონი (29 ქულა, 10 მოხსნა), არენასი (24), ბატლერი (16), ტომასი (14 ქულა, 15 მოხსნა, 6 დაფარება)

**ჩიკაგო 110:85 მილუოკი**

**ჩიკაგო:** გორდონი (37), დენგი (17), ნოჩიონი (17), ბრაუნი (13 ქულა, 11 მოხსნა), ვოლესი (6 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება)

**მილუოკი:** რედი (30), ვილანუევა (17 ქულა, 13 მოხსნა)

**საკრამენტო 93:81 მინესოტა**

**საკრამენტო:** არტესტი (22), მარტინი (19), აბდურ-რაჰიმი (13)

**მინესოტა:** ჯეიმსი (23), გარნეტი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**კლიპერსი 102:89 პორტლენდი**

**კლიპერსი:** მეჯიტი (20), მობლი (17), კასელი (16), კამანი (15)

**პორტლენდი:** რენდოლფი (35 ქულა, 13 მოხსნა)

**ტრიუმფალურ** სვლას განაგრძობს „იუტა ჯაზი“. რაღაც სასწაულით სრულად უტრავმებოდ გადარჩენილმა ჯერი სლოუნის შეგირდებმა ამჯერად ყინჩ აღმოსავლელ „დეტროიტს“ ჩაუქუფრეს თვალ-წარბი და ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაც ჩაიწერეს.

ასევე ზედიზედ მეოთხედ „იუტას“ თავდამსხმელმა კარლოს ბუზერმა ორმაგი დუბლი შეასრულა. ეს ბუზერი ორი წელია სოლტ ლეიკ სიტიში გადაბარგდა და ასეთ ფორმაში არ ყოფილა. ერთთავად სხეულის რომელიმე ან რამდენიმე ნაწილს იტკივებდა, ახლა კი ფრჩხილიც არ აწუხებს და ორმაგ დუბლებს კომბლებივით თლის.

ბუზერის მხარდამხარ ორმაგი დუბლი შეასრულა მისმა თურქმა თანამეფარე მეჰმეთ ოქურმა, ვინაც ბოლო მეოთხედში 8 ქულაც გააკეთა და 103:101 ანგარიშზე ბოლო წამებზე დეტროიტელ რიპ ჰამილტონსაც დაუფარა.

ოქური, ბუზერი... სლოუნის განკარგულებაში კიდევ არაერთი რიგიანი ჭეელია. ამ შემადგენლობაში თვით „რუსული კალაშნიკოვი“ ანდრეი კირილენკოც რიგით მოთამაშედ ჩანს და არა პირუთვნელ ლიდერად. გუნდიც იგებს.

დეტროიტელებმა კი გვარიანად ნაწყენებმა დატოვეს დიდი მარილიანი ტბის სანაპიროები, განსაკუთრებით იბღვირებოდა ორ ვოლესთაგან მარტოდ დარჩენილი რაშიდი, ვინც აქამდე ბედნიერი და მუდამ მომღიმარი ჩანდა, რადგან მისი მოგვარე „ბიგ ბენი“ შავ სამუშაოს არიდებდა. მაგრამ რაც ეს უკანასკნელი „ჩიკაგოში“ გადაბარგდა, რაშიდს მუშაობაც ორმაგად უწევს. „იუტასთან“ მან მოგვარის მაგივრადაც იმუშავა, 25 ქულას 12 მოხსნა და 4 დაფარებაც მოაყოლა, მაგრამ გარჯამ სულ ამაოდ ჩაუარა. მერე გაბრაზდა და მეოთხე საამსეზონო თამაშში მეოთხე ტექნიკური დასტყუა მსაჯს.

ბენ ვოლესის „ჩიკაგომ“ კი მიჩიგანურ დერბიში „მილუოკი“ შემუსრა, რაც ყოფილი დეტროიტელის დამსახურებაცაა, თუმცა ლომის წილი მაინც 37 ქულის და 9 პასის გამკეთებელ ბენ გორდონს ეკუთვნის.

იოლად იმარჯვეს დასავლელმა ტიტულმაძიებლებმა — „სან ანტონიომ“ და „კლიპერსმა“. „სან ანტონიო“ დამაჯერებლად გაუსწორდა „ნიუ იორკს (გაუჭირდებოდა!). ლოსანჯელესელებმა კი საკალათბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს „პორტლენდს“. დამარცხებულთა ლიდერმა ზაკ რენდოლფმა ყურადღება არ მიაქცია პირადი ოპონენტის ელტონ ბრენდის სახელს და გამოცდილებას და დუელში 35:8 დაჩაგრა (მოხსნებში 13:4), თუმც საქმე ისაა, რომ „პორტლენდში“ რენდოლფის გარდა ყველამ ცუდად ითამაშა, „კლიპერსში“ კი ბრენდს თუ არ ჩავთვლით, ყველამ კარგად და გუნდური თამაშის ძალაც აქ იწვნიეს რენდოლფმაც და მისიანებმაც.

კოტე ყორშია

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ფილადელფია | 3 | 0 | 100 |
| ნიუ ჯერსი | 1 | 1 | 50,0 |
| ტორონტო | 1 | 2 | 33,3 |
| ნიუ იორკი | 1 | 3 | 25,0 |
| ბოსტონი | 0 | 3 | 00,0 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 2 | 1 | 66,7 |
| კლივლენდი | 2 | 1 | 66,7 |
| ჩიკაგო | 2 | 2 | 50,0 |
| მილუოკი | 2 | 2 | 50,0 |
| დეტროიტი | 2 | 2 | 50,0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ატლანტა | 2 | 1 | 66,7 |
| ორლანდო | 2 | 2 | 50,0 |
| შარლოტი | 1 | 2 | 33,3 |
| მაიამი | 1 | 2 | 33;3 |
| ვაშინგტონი | 1 | 2 | 33,3 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 3 | 0 | 100 |
| სან ანტონიო | 3 | 1 | 75,0 |
| მემფისი | 1 | 2 | 33,3 |
| ჰიუსტონი | 1 | 2 | 33,3 |
| დალასი | 0 | 3 | 00,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 4 | 0 | 100 |
| პორტლენდი | 2 | 2 | 50,0 |
| მინესოტა | 2 | 2 | 50,0 |
| სიეტლი | 1 | 2 | 33,3 |
| დენვერი | 0 | 2 | 00,0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 3 | 1 | 75,0 |
| კლიპერსი | 3 | 1 | 75,0 |
| გოლდენ სტეიტი | 2 | 2 | 50,0 |
| საკრამენტო | 2 | 2 | 50,0 |
| ფინიქსი | 1 | 3 | 25,0 |

## კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი

**ალენ აივერსონი (ფილადელფია)**

### დასავლეთი

**კარლოს ბუზერი (იუტა)**





ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის პირველი კვირის საუკეთესო მოთამაშეებად აღმოსავლეთში ალენ აივერსონი, დასავლეთში კი კარლოს ბუზერი დასახელდნენ. აივერსონს და მის „ფილადელფიას“ აღმოსავლეთში ბადალი არ ჰყოლიათ. „სიქსერზმა“ სეზონი ჩვენებური ზაზა ფაჩულიას „ატლანტას“ ძლევით გახსნა, შემდეგ აივერსონის ბოლო წამებზე ჩაგდებულის წყალობით „ორლანდოს“ სძლია, ბოლოს კი ჩემპიონი„ მაიამიც“ შემუსრა. ამ სამ თამაშში აივერსონი საშუალოდ 34,0 ქულას და 9,7 პასს იხვეჭდა. სამივე თამაში მოიგო კარლოს ბუზერის „იუტამაც“, თავად კარლოსმა სამჯერვე ორმაგი დუბლი შეასრულა. მისი მაჩვენებლებია 20,7 ქულა და 15,0 მოხსნა.

**კვირის სიმბოლური ხუთეული:** ალენ აივერსონი (ფილადელფია), ჯო ჯონსონი (ატლანტა), ლამარ ოდომი (ლეიკერსი), კარლოს ბუზერი (იუტა), იაო მინი (ჰიუსტონი)




# ხელბურთის სეზონი თელავში გაიხსნება

**როგორც ჩანს,** ვაჟ ხელბურთელთა მე-17 ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას საშველი დაადგა და ოთხწრიანი, შემდეგ კი გაზაფხულზე პლეიოფიანი ტურნირი ზეგ გაუდგება გზას.

შეჯიბრებაში ხუთი გუნდი ჩაებმება: საქართველოს 16-გზის ჩემპიონი „სტუ-შევარდენი", რომელსაც „თელავთან" გაერთიანების შედეგად „შევარდენი-სტუ-თელავი" დაერქვა. ჩემპიონატში კი მოკლე დასახელებით „სტუ-თელავი" გამოვა, წინა პირველობის ვერცხლის პრიზიორი, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის „ქარიშხალა", ბრინჯაოს მედალოსანი „ხელბურთის კლუბი თბილისი", საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის „მამული" და „ხკ თბილისის" მეორე გუნდი — „იმედი".

კლუბებს სამონაწილეო თანხის ნაწილის გადასახდელად პარასკევამდე აქვთ ვადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელბურთის ეროვნული ასოციაცია თამაშის ნებას არ დართავთ.

ჩემპიონატი ამჯერად ტურობრივისგან განსხვავებული სისტემით ჩატარდება. გუნდები მიმოსვლით — შინ და სტუმრად შეხვდებიან ერთმანეთს.

„სტუ-თელავი" (მწვრთნელები ირაკლი კეკელიძე, ბექა ორჯონიკიძე) საშინაო მატჩებს თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების სკოლის დარბაზში ჩაატარებს, „ქარიშხალა" (გია ქობელაშვილი, გიორგი გოცირიძე) — გლდანის ხელბურთის ცენტრში, „ხკ თბილისი" (მამუკა მჟავანაძე) და „იმედი" (ლევან ოსიყმაშვილი) — არმიის სპორტული კლუბის დარბაზში, „სსსსუ-მამული" (რევაზ ჭანტურია) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში.

დაგვიანებული სეზონი (ასოციაციას ჩემპიონატის დაწყება 20 ოქტომბერს ჰქონდა დაგეგმილი) ზეგ თელავში „სტუ-თელავისა" და „სსსსუ-მამულის" მატჩით გაიხსნება. პარასკევს საღამოსვე ასკ-ს დარბაზში „ხკ თბილისი" და „იმედი" ითამაშებენ.

**გია ახალაძე**

**საშემოდგომო ეტაპის კალენდარი**

**პირველი წრე**

10 ნოემბერი
სტუ-თელავი — მამული
თბილისი — იმედი

11 ნოემბერი
მამული — ქარიშხალა
იმედი — სტუ-თელავი

16 ნოემბერი
ქარიშხალა — თბილისი
იმედი — მამული

17 ნოემბერი
ქარიშხალა — იმედი
თბილისი — სტუ-თელავი

23 ნოემბერი
მამული — თბილისი
სტუ-თელავი — ქარიშხალა

**მეორე წრე**

24 ნოემბერი
მამული — სტუ-თელავი
იმედი — თბილისი

1 დეკემბერი
ქარიშხალა — მამული
სტუ-თელავი — იმედი

2 დეკემბერი
თბილისი — ქარიშხალა
მამული — იმედი

9 დეკემბერი
იმედი — ქარიშხალა
სტუ-თელავი — თბილისი

10 დეკემბერი
თბილისი — მამული
ქარიშხალა — სტუ-თელავი



# ჰაერში აგდებული კაცი განა მკვდარია?!
## ლიახოვიჩს თითიდან იწოვენ

**არ ცხრება** ემოციები შენონ ბრიგსსა და სერგეი ლიახოვიჩს შორის სამიოდე დღის წინ გამართული ბრძოლის ირგვლივ. ამერიკელმა ყველას მოლოდინის საპირისპიროდ კი მოიგო ეს ორთაბრძოლა, მაგრამ თურმე არსებობს იმის შანსიც, რომ გამარჯვება არ ჩაუთვალონ.

საქმე იმაშია, რომ ლიახოვიჩი და მისი გუნდი, კერძოდ, ბელარუსის პრომოუტერი ივაილო გოტცევი პროტესტის შეტანას აპირებენ ბოქსის მსოფლიო ორგანიზაციაში (WBO — სწორედ ამ სტრუქტურის ეგიდით გაიმართა ეს ბრძოლა) იმის თაობაზე, რომ ამერიკელმა მხოლოდ და მხოლოდ მთავარი მსაჯისა და მსაჯ-ქრონომეტრისტის შეცდომების ხარჯზე იმარჯვა.

გოტცევის მტკიცებით, შეხვედრის რეფერიმ რობერტ ფერერამ ბრძოლის დასრულების ნიშანი მაშინ მისცა, როცა უკანასკნელი, მეთორმეტე რაუნდი 7 წამის მორჩენილი იყო. ამასთანავე ფერერამ არ დაითვალა ის სავალდებულო 20 წამი, რომელიც WBO-ს წესებით, რინგიდან გადავარდნილ მოკრივეს ეძლევა ფიცარნაგზე დასაბრუნებლად. გარდა ამისა, შეცდომა დაუშვა მსაჯ-ქრონომეტრისტმა, რომელმაც დროზე არ დარეკა მატჩის დასრულების აღმნიშვნელი გონგი. WBO-ს წესებით კი, გონგი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ უნდა დაირეკოს, როცა მოკრივე ნოკდაუნში რაუნდის დასრულებამდე 10 წამით ადრე ჩავარდება — რეფერის მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს ბრძოლის ან რაუნდის დასრულების მომენტის დაფიქსირების უფლება.

„ვიდეოჩანაწერზე გარკვევით ჩანს, რომ სერგეიმ რინგიდან მაშინ დაიწყო ვარდნა, როცა წამზომზე 2:59 დაფიქსირდა, ანუ გონგი მაშინ უნდა დაერეკათ, როცა ლიახოვიჩი ჯერ კიდევ ჰაერში იყო. მაგრამ მსაჯ-ქრონომეტრისტმა გონგი დროზე არ დარეკა, ხოლო ვინადიან რეფერიმ არ იცოდა, რამდენი იყო დარჩენილი რაუნდის ბოლომდე, მან ლიახოვიჩის დაცვის მიზნით შეწყვიტა ბრძოლა. არადა, გონგი რომ დაეკრათ, სერგეის 20 წამი მიეცემოდა, რომლის განმავლობაშიც ის ფიცარნაგზე უნდა დაბრუნებულიყო. სერგეი კი იქ ცდილობდა წამოდგომას და აბა ცადოს და დაამტკიცოს ვინმემ, რომ იმ 20 წამში რინგზე ვერ შევიდოდა. ამიტომაც ვთვლი, რომ ბრიგს ეს მოგება არ უნდა ჩაეთვალოს" — ასეთი არგუმენტები მოჰყავს ლიახოვიჩის პრომოუტერს.

„უსამართლოდ წავაგე და თუ ეს დამტკიცდა, მაშინ მატჩ-რევანშს ვითხოვ. იმედია, ბრიგსი სირბილს არ დაიწყებს და არ დამემალება" — იმედი ჩაესახა ლიახოვიჩს.

ძნელი სავარაუდოა, რითი შეიძლება დამთავრდეს ეს დავიდარება, მაგრამ პროფესიულ კრივში რომ დიდი დომხალია, ამ შემთხვევიდანაც ნათლად ჩანს.

**კახა ლომაშვილი**



# გირჩევნიათ, ბურთები მოგვაწოდოთ!
## კაცებმა თავი ქალთა ჩოგბურთში გაჰყვეს


ელენა დემენტიევა

**ჩოგბურთის** ესპანელ ფუნქციონერებს საკმაოდ უცნაური იუმორის გრძნობა რომ აქვთ, კარგა ხანია, ცნობილია. მოგეხსენებათ, მადრიდში მასტერსის ერთ-ერთი ტურნირი იმართება, რომელზეც ორგანიზატორებმა უკვე ტრადიციად აქციეს, რომ ბურთის მიმწოდებლები მოდელები არიან. ამას ჩოგბურთელთა უკმაყოფილება არაერთხელ გამოუწვევია, რადგან თამაშში გართულ ჩოგნის მქნეველთ ხშირად ლამაზი ქალბატონებისკენ გაჰპარვიათ თვალი, თანაც მოდელები თავიანთ მოვალეობას, ანუ ბურთების მიწოდებას არცთუ იდეალურად ართმევენ ხოლმე თავს.

წლეულს კი ამ ესპანურმა ტრადიციისადმი პროტესტმა პიკს მიაღწია. ჰოდა, ცალკე პრესაზე, ცალკე კი ჩოგბურთელებზე გაბრაზებულმა ესპანელმა ორგანიზატორებმა ეგრე არ უნდაო და ქალების წლის შემაჯამებელ ტურნირზე, რომელიც ამ სეზონში მადრიდში იმართება, ბურთის მიმწოდებლებად მამაკაცი მოდელები დაიქირავეს.

ამ ამბავს ქალი ჩოგბურთელები ჯერჯერობით ირონიითა და იუმორით შეხვდნენ.

„მხოლოდ ერთხელ ვივარჯიშეთ ისე, როცა ისინი გვაწოდებდნენ ბურთებს. ჩემი აზრით, მათ საერთოდ არ აქვთ წარმოდგენა იმაზე, რა ევალებათ. ხშირად ჩოგბურთელების ყურებაში სულაც ავიწყდებათ, რომ ბურთი უნდა მოგვცენ" — ნაწილობრივ ხუმრობდა, ნაწილობრივ კი პროტესტს გამოთქვამდა 25 წლის ელენა დემენტიევა.

„მგონი, მათ ბოლომდე ვერ გაუთავისებიათ, რაში გაყვეს თავი, ამიტომაც მაქსიმალურად უნდა გაფრთხილდნენ. მოთამაშეებს კონცენტრაციის დაკარგვა ძვირად უჯდებათ ხოლმე და ბურთის მიმწოდებელ ბიჭებზეც კი ცოფდებიან, როცა ისინი ზუსტად არ მოქმედებენ. ამიტომ ამ მოდელებს ვერც კი წარმოუდგენიათ, რა შეიძლება დაემართოთ" — დემენტიევა ამჯერად უკვე აფრთხილებს ახალი საქმიანობით დაკავებულ მოდელებს.

კიმ კლაისტერსმა აღნიშნა, რომ ტურნირის პრეზენტაციაზე ეს ჩოგბურთელებს შორის მთავარი სალაპარაკო თემა იყო:

„მარიას (შარაპოვა) ამაზე ტაქსში ველაპარაკე და სხვებიც მარტო ამაზე საუბრობდნენ. საკმაოდ სახალისო ამბავია, ამასთანავე უცნაურიც. მაგრამ თუ ისინი საქმეს კარგად გაართმევენ თავს, საპროტესტო არაფერი გვექნება."

მეორე ბელგიელმა ჟუსტინ ენენ-არდენმა კი, რომელიც რეიტინგის სათავეში მოსაქცევად იბრძვის, იხუმრა — მეუღლემ მირჩია, კარგად მოიქეციო:

„კარგი რამე კი მოიფიქრეს ამ მოდელებით, თუმც მე გათხოვილი ვარ და ამიტომ მხოლოდ მათი შორიდან ყურებით თუ დავტკბები."

მარტინა ჰინგისმა ბოლოს დაამატა, რომ ამით მშვენიერი შესაძლებლობა ეძლევა, შური იძიოს თავის მეგობარ, ასევე ჩოგბურთელ რადეკ შტეპანეკზე — „რადეკს აქ, უკვე უთამაშია მოდელების თანდასწრებით. ასე რომ, ახლა ჩემი გართობის ჯერია."

**კახა ლომაშვილი**

# დევიძემ პიტსბურგი მოგებით გახსნა



**ამერიკის** ქალაქ პიტსბურგის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით 75 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ქალთა საჩოგბურთო ტურნირი ტარდება და ქართველი სალომე დევიძე კვალიფიკაციიდან ცდილობს შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრას.

დევიძემ, ვინც WTA-ს მიმდინარე კლასიფიკაციაში 574-ე ადგილზეა, კვალიფიკაციის პირველ წრეში იოლად — 6:4 6:4 დაჯაბნა 19 წლისა და რეიტინგის 663-ე საფეხურზე მყოფი ნორვეგიელი ნინა მუნჩი-საეგაარდი.

მეორე წრეში სალომეს გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავს უკრაინელი ტატიანა ლუზჰანსკას სახით. ამ 22 წლის უკრაინელმა, ვისაც კლასიფიკაციაში 363-ე პოზიცია უკავია, პირველ წრეში 6:0 6:2 გაანადგურა კორტის მასპინძელი ჯორჯეტა რაიტი.



ელენა პროკოპჩუკამ ნიუ იორკში ყველას აჯობა

# ჩერიოტის წყვილი მარათონი

**ᲒᲐᲡᲣᲚ ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ** დედამიწის სხვადასხვა წერტილში რამდენიმე მნიშვნელოვანი მარათონი ჩატარდა. მათ შორის იყო უაღრესად პრესტიჟული ნიუ იორკის მარათონიც, რომელიც ბრაზილიელი მარილსონ დოს სანტოსისა და ლატვიელი ელენა პროკოპჩუკას გამარჯვებით დასრულდა.

ნიუ იორკული შეჯიბრი ბოსტონის, ლონდონის, ბერლინისა და ჩიკაგოს გარბენებთან ერთად მარათონების მსოფლიო სერიას ქმნის და ამ სერიის სათავეში უკვე ნახსენები პროკოპჩუკა და წელს ბოსტონისა და ჩიკაგოს მარათონების მომგები კენიელი რობერტ ჩერიოტი არიან.

თითოეულ გამარჯვებაზე 25 ქულა იწერება და ჩერიოტს ორი მოგების წილ 50 ქულა აქვს. 25-25 ქულა მოაგროვეს დოს სანტოსმა, ლონდონის გამარჯვებულმა კენიელმა ფელიქს ლიმომ და ბერლინის ტრიუმფატორმა, ლეგენდარულმა ეთიოპიელმა ჰაილე გებრესელასიემ.

ქალთა შორის 40 ქულით, როგორც ვთქვით, ელენა პროკოპჩუკა ლიდერობს, ვინც ნიუ იორკში გამარჯვების გარდა ბოსტონში მეორე ადგილითაც იწონებს თავს. 30-30 ქულა აქვთ ეთიოპიელ ბერანე ადერესა და კენიელ რიტა ჯეპტოოს. ადესეს ანგარიშზე ჩიკაოში გამარჯვებაა, ხოლო ჯეპტოო ბოსტონში იყო საუკეთესო. 25-25 ქულა აქვთ ამერიკელ დეენა კასტორს, ვინც ლონდონში იპირველა და ბერლინის მარათონის მომგებ ეთიოპიელ გეტე ვამის.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ მარათონებზე მიმდინარე სეზონში ყველა მაღალი შედეგები გაბრესილასიემ და კასტორმა აჩვენეს. დიდმა ეთიოპიელმა ბერლინური 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2 საათში, 5 წუთსა და 50 წამში გალია, ხოლო ამერიკელმა ლონდონური მარათონის გარბენას 2 საათი, 19 წუთი და 36 წამი მოანდომა.



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# მძლავრმა იხვებმა ედმონტონი გაიმეორეს

6 ნოემბერი

**ვანკუვერი 2:1 დალასი**

*1:0 0:1 1:0*

1:0 ბეკსა (10), 1:1 ლინდროსი (27), 2:1 პაიეტა (60)

**ანაჰაიმი 3:2 პიტსბურგი**

*1:2 1:0 0:0 1:0 (ოვერტაიმი)*

1:0 კუნიცი (4), 1:1 მური (4), 1:2 ტორბერნი (11), 2:2 პერი (34), 3:2 სელიანე (61)

**ტორონტო 4:1 ფილადელფია**

*1:0 0:1 3:0*

1:0 ბატალია (6), 1:1 იგერი (23), 2:1 ანტროპოვი (48), 3:1 პონიკაროვსკი (57), 4:1 კაბერლე (59)

**აილენდერსი 1:5 ტამპა**

*1:1 0:2 0:2*

0:1 კარლსონი (13), 1:1 ჟიტნიკი (20), 1:2 სენ ლუი (33), 1:3 კუბა (38), 1:4 კუბა (53), 1:5 პერინი (56)

**ატლანტა 5:3 ბოსტონი**

*2:0 0:1 3:2*

1:0 კოზლოვი (3), 2:0 კოვალჩუკი (8), 2:1 ბერჟერონი (24), 3:1 კოვალჩუკი (47), 4:1 მარიან ჰოსა (48), 5:1 კოვალჩუკი (50), 5:2 ბოიესი (59), 5:3 ბერჟერონი (60)

**ვაშინგტონი 4:3 ოტავა**

*1:3 1:0 1:0 1:0 (ოვერტაიმი)*

0:1 ალფრედსონი (2), 0:2 ვერმეტი (11), 0:3 ჰითლი (12), 1:3 პეტინგერი (20), 2:3 ოვეჩკინი (28), 3:3 ოვეჩკინი (60), 4:3 კლარკი (62)



ანაჰაიმელმა კორეი პერიმ პიტსბურგელ ჟოსელინ ტიბოს გაუტანა

კალიფორნიაში ტურნეზე მყოფმა პიტსბურგელმა „პინგვინებმა“ ანაჰაიმელ „მძლავრ იხვებთან“ ოვერტაიმში წააგეს. გადამწყვეტი გოლი ფინელმა ვეტერანმა ტეემუ სელიანემ გაიტანა. მთავარი კი ის გახლავთ, რომ „ანაჰაიმმა“ ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ 15 თამაშში მოიპოვა მინიმუმ ერთი ქულა და ეს 22 წლის წინათ „ედმონტონ ოილერზის“ მიერ დამყარებული რეკორდის გამეორებაა.

მაშინ, ანუ 1984 წელს ედმონტონში უეინ გრეტცკი, მარკ მესიე, პოლ კოფი და იარი კური ბრწყინავდნენ და იმ გუნდის დაჯაბნვა მართლა ძნელი საქმე იყო. იოლი არც ახლანდელი ანაჰაიმის დამარცხებაა და აგერ, უკვე თხუთმეტი თამაშია, „იხვები“ ძირითად დროში არც აგებენ — 11 გამარჯვება და 4 საოვერტაიმო წაგება ჯამში 26 ქულას აკეთებს და ანაჰაიმური გუნდი სრულიად ჩემპიონატის ლიდერია.

დღის სხვა ამბებიდან „ატლანტას“ რუსი ლიდერის ილია კოვალჩუკის მორიგი ჰეთ-თრიკია გამოსაყოფი. ამ სამ გოლს კოვალჩუკმა ერთი პასიც დაამატა და 23 (12+11) ქულით ბომბარდირთა დავაში იარომირ იაგრს შეუამხანაგდა. ამათზე წინ მხოლოდ მეორე ატლანტელი მარიან ჰოსაა, რომელმაც ბოსტონთან შეხვედრაში გოლი და ორი შედეგიანი პასი მიითვალა და 24 (13+11) ქულას მოუყარა თავი.

გრძელდება „ოტავას“ წარუმატებლობები. არადა, კანადის დედაქალაქიდან ამერიკის დედაქალაქში სტუმრად ჩასული „სენატორები“ მე-12 წუთისთვის 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ რუსი ოვეჩკინის ძალისხმევით მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და ოვერტაიმში გამარჯვების შაიბაც გაიტანეს.





დევიდ მილარი ისევ სკანდალისკენ მიჰქრის

# წამალი გზაზე

**ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ** პარიზში საფრანგეთის პროფესიონალ ველომრბოლთა გუნდ „კოფიდისის“ ბრიტანელი წევრის დევიდ მილარისა და კიდევ სხვა ყოფილი თუ მოქმედი 9 მრბოლის წინააღმდეგ სასამართლო პროცესია დაგეგმილი. რა გასაკვირია და, მათ აკრძალული პრეპარატის მიღებაში ედებათ ბრალი.

მილარს გამოდევნებით რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 2003 წელს ჩამოართვეს, როცა სისხლის დოპინგ-ტესტი ჩაუვარდა, ახლა კი ეს დისკვალიფიკაციამოხდილი სპორტსმენი გზატკეცილზე ხეირიანად დაბრუნებულიც არაა და ისევ სასამართლო ელის.

სასამართლოზე მილართან ერთად სპორტსმენების გარდა მის სხვა „თანამზრახველებსაც“ მოუწევთ გამოსვლა. ესენი არიან „კოფიდისის“ ყოფილი ექიმი, ტექნიკოსი და ფიზიოთერაპევტი. ბრალდებულებს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და 75000-ევროიანი ჯარიმა ელით.

ამ საქმის გამოძიებას ბიძგი მისცა სატელეფონო საუბარმა, რომელიც პოლიციამ მოისმინა. იმ საუბრისას გუნდის პოლონელი ფიზიოთერაპევტი ბოგუსლავ მადეიაკი თანამემამულე მრბოლებთან ერთად საფრანგეთში აკრძალული პრეპარატების ჩატანის გრაფიკს განიხილავდა.



# ორი პეტერის ზავი

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ** მსოფლიოს მერვე ჩემპიონის მიხაილ ტალის სახელობის ტურნირი მიმდინარეობს. გათამაშებაში 10 დიდოსტატი მონაწილეობს და პარტიები ერთ წრედ თამაშდება.

**მიხაილ ტალის მემორიალი**
**5-19 ნოემბერი. რუსეთი**

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 1:0 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0:1 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |

ტურნირის ფავორიტი ფიდეს რეიტინგის მეოთხე ნომერი პეტერ სვიდლერია. რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი პირველ ტურში პეტერ ლეკოს დაუპირისპირდა. მადიარი დიდოსტატი ერთ დროს ქვეყანას აზანზარებდა და მსოფლიოს ჩემპიონობაზეც აცხადებდა პრეტენზიას, თუმც შემდეგ პოზიციები დათმო და ახლა ფიდეს რეიტინგში მხოლოდ მერვე ადგილზეა. მათი პარტია მაინც საინტერესოდ წარიმართა და მნახველიც საკმაოდ ბევრი მოგროვდა.

პარტია სვიდლერმა მეფის გამბიტით დაიწყო, თავიდანვე იერიშებს მოერიდა და ფლანგის გაძლიერებას შეუდგა. ლეკო აქტიურად ჩაერთო თამაშში, წინა ხაზზე მხედარ-პაიკები გამოუშვა და ლაზიერის მხრიდან შეტევა წამოიწყო. სვიდლერმა დროებით უკან დახია ძალები, მარჯვენა ფლანგი მოაძლიერა და მეტოქეს ცენტრიდან დაარტყა. მოჭადრაკეებმა რამდენიმე სვლა ერთმანეთს ფიგურები უხოცეს, თუმც დაცვა მაინც ვერ გაარღვიეს და ზავით არჩიეს დაშორება.



ორი პეტერი — ლეკო და სვიდლერი ყაიმზე შეთანხმდნენ

იმარჯვა მსოფლიო თასის მფლობელმა ლევონ არონიანმა. სომეხმა მოჭადრაკემ მასპინძელ ალექსანდრ მოროზევიჩს 42-ე სვლაზე ააწევინა ხელები. წააგო ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 15 წლის მაგნუს კარლსენმა. იგი ბორის გელფანდს 38-ე სვლაზე დანებდა.

ლაშა გეგეჭკორი




ათენის მარათონი, მარათონთა მარათონი კენიელმა ჰენრი ტარუსმა მოიგო. შეჯიბრში 5 ათასზე მეტი მორბენალი მონაწილეობდა. ამერიკელმა ტომ პოდესტამ კი გადაწყვიტა, მარათონი ელინურ საბრძოლო სამოსში გაერბინა, ისე, როგორც ეს პირველმა მარათონელმა, ლეგენდარულმა ფიდიპიდემ გააკეთა, რათა ათენელებისთვის სპარსელთა დამარცხება ემცნო.




ახლოა მელბურნის სადოლე თასი, რომლის პრიზიც 3,75 მილიონი ამერიკული დოლარია. ბრიტანული ცხენი იეტსი დოლის ერთ-ერთი ფავორიტია და მნახველებსაც უცინის სანდაუნის თავლაში.




აკაპულკო ხომ ტკბილი ადგილია მექსიკაში. ამერიკულ საჰაერო შოუს კი კიდევ უფრო დაუტკბია. მოდი, და ნუ შეაშტერდები.

## დიდო ჰო ტური

კონკისტადორთა ტური კოსტარიკის მთებში მიმდინარეობს. ფრანგი ფრედერიკ საერი სხვა 400 ველომარათონელთან ერთად ძალიან ინდომებს, რათა სამ დღეში გაიაროს გაუსაძლისი გზები.







## მეათენი

კანადაში, ვიქტორიას ყინულზე დიდი ტურნირი მიმდინარეობს. ყინულზე მოცეკვავე ჩეხური წყვილი, კამილა ჰაიკოვა და დავიდ ვინცურუსი ფოტოზე კი კოხტანი არიან, მაგრამ ადგილი მხოლოდ მეათე ერგოთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge